


ლიტერატურული გაზეთი

№11 (243) 7 - 20 ივნისი 2019

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, ვარასკეობით

ფასი 80 თეთრი



17.05.2019 - 21.05.2019



თ ბ ი ლ ი ს ი ს
ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო
ლიტერატურული
ფესტივალი
TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF LITERATURE

ზაალ სამადაშვილი

პაატა ნაცვლიშვილი

შოთა ზოიძე

მიშიკო ხალიჩაშვილი

ბექა ქურხული

დალილა ბედიანიძე

მანანა ყიფიანი

ლალი ავალიანი

ტომას ვულფი

ეკა ქევანიშვილი:

„დიდი აბაზი მჭირდება...“



სასაბარო სასაღილოში

ყველა სასაღილოში „ხაზის რადიო“ იყო ჩართული; იქაც, იმ სარდაფშიც, პლენ-ანოვზე, გორკის ბაღის გვერდით, საღ-ამოხანს მამა, ორმოციოდე წლის კაცი, შეიღს რომ ჩაუძღვავ, ჭრელპერანგინ, ახ-ლად ტუჩქველინდულ ბიჭს. ხმოვანი ყუთი დახლის უკან მდგარ კარადის თავზე ედო მებუფეტეს და ლოლიტა ტორესის ხმა ის-მოდა იქიდან, ორი გადაცემიდან ერთ-ერთი მიმდინარეობდა — „კონცერტი რა-დიომსმენელთა თხოვნით“, ან „მუსიკა კი-ნოფილმებიდან“.

ქაბაბი აიღეს, პური, ცოტა ყველი, ორ-მანეთიანს რომ ეძახდნენ — ის, კიტრის და პამიდგრის სალათა მწვანელით და ხახვით და ერთი ბოთლი კონიაკი, სამვარსკვლა-ვიანი...

მას შემდეგ, რაც კაცი სახლიდან წავი-და, მამა-შვილი იშვითად ხვდებოდა ერთ-მანეთს, თვეში ერთხელ, სულ რამდენიმე წუთით. დაუთქვამდა მამა დროს, დაიბარებდა ბიჭს სადმე ქუჩაში, მისცემ-და ფულს შინ, დედასთან მისატანად, ეტყ-ოდა ერთ-ორ უმნიშვნელო სიტყვას, მსუბ-უქად ნაპკრავდა ხელს კეფაზე, დაემშვი-დობებოდა და გაუდგებოდნენ გზას სხვა-დასხვა მხარეს...

ახლა კი, დასაღევად დაბატიჟა... პირველად ხდებოდა ეს და მიუხედავად ამისა, ბიჭს სულაც არ უკვირდა — დარწ-მუნებული იყო, რომ მიზეზი მისი გასტუ-დენტება გახლდათ. გახარებული იყო, ძალიან ეამყებოდა, რომ დამოუკიდე-ბლად, რეპეტიტორების გარეშე შეძლო მისაღები გამოცდების ჩაბარება, თან სადმე კი არა, სწორედ იქ, სადაც უნდოდა — უნივერსიტეტში. იმ დროს, როცა პა-ტარებისთვის რძეში ჩასაფხვნილი გალე-ტის ყიდვა მხოლოდ თბილისი-მოსკოვის მატარებლის ვაგონ-რესტორანში შეიძლე-ბოდა და ბლანტი, ოდნავ მოტკბო სითხე, სახელად კისელი დესერტის მაგივრობას სწევდა, უნივერსიტეტად მხოლოდ ერთი უმალესი სასწავლებელი მოისხენიებოდა, ყველა დანარჩენს ინსტიტუტები ერქვათ...

ბიჭს როგორც წარმოედგინა, ისე აენ-ყო შეხვედრის დასაწყისი. მიუჭახუნა მამამ კონიაკით სავსე პატარა თლილი ჭიქა, მი-ულოცა და შეაქო, კიდევ ჩამოასხა, კიდევ მიუჭახუნა და ისევ შეაქო. ბიჭმა შეიფერა, მშიერ კუჭზე გადაკრულმა სასამელმაც გაათამამა, ლაპარაკის საღერღელი აუშა-ლა. წვრილად მოყვა, რომელმა გამომ-ცდელმა რა ჰკითხა და თვითონ როგორ უპასუხა, რატომ არჩია თავისუფალი თე-მის დანერა რომელიღაც ლიტერატურუ-ლი პერსონაჟის დახასიათებას, რა განიცა-და, როცა საკუთარი გვარი ამოიკითხა უნივერსიტეტში ჩარიცხულთა სიაში...

კაცმა უსმინა, უსმინა და თავადაც აღ-აპარაკდა, ის დრო გაიხსენა, როცა ლექციებზე დასასწრებად ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მისვლა ფეხით უწევ-და და ფეხსაცმელები რომ არ გასცვეთო-და, ძირებზე ძველი, უფარვისი საბურავე-ბიდან ათლილ რეზინის ნაჭრებს იმაგრებ-და წვრილი ლურსმნებით...

ისეთი გატაცებით ჰყვებოდა, ბიჭმა იფიქრა, დიდხანს ვერ დააღწევს თავს მოგ-ონებებსო, მაგრამ მოულოდნელად კაცმა თხრობა შეწყვიტა, მიიხედ-მოიხედა, წინ გადაიხარა და ხმდაბლა, ლამის ჩურჩუ-ლით უთხრა — რასაც ეხლა გეტყვი, კარ-გად დაიმახსოვრო...

ბიჭმაც გახედა მეზობელ მაგიდებს, დაინტერესდა, ვინ დაინახა ასეთი, ჩურ-ჩულზე რომ გადავიდაო. სასაღილო თითქ-მის ცარიელი იყო, ვილაც ლურჯნისაფ-რანი მუშაკაცები უხმოდ ილუქებოდნენ მათგან მოშორებით...

მოკლედო, სწავლას რომ დაიწყებ, კურსელებს და ლექტორებს გაიცნობ, ახალ გარემოს შეეგუებ, ერთხელაც შეი-ძლება მოგადგეს ვინმე და თანამშრომლო-ბა შემოგთავაზოსო...

რა თანამშრომლობაო, გაუკვირდა ბიჭს... ეგენიო, ენის მიტანას, მაგათ „კანტო-რაში“ იმ ამბებს მოყოლას, რომლებსაც ან ყურს მოკრავ ან თვალს, თანამშრომლო-ბას ეძახიანო — აუხსნა კაცმა...

ვინ „ეგენიო“ — დაეკითხა ბიჭი, რომელსაც შეცბუნება დაეტყო საუბრის ასეთი შემოტრიალებით...

მხრებზე დაირტყა ხელი კაცმა, ჯერ ერთზე, მერე მეორეზე, რაც ყესტების

ენაზე უფორმო, მაგრამ მაინც „პაგონები-ან“ პირს ნიშნავდა. ბიჭი მიხვდა, ვისაც გულისხმობდა მამა. გასწავლი, რა უნდა უთხრა, როგორ უნდა დაუსხლტე ხელიდან მაგ ნაძირლებსო — გააგრძელა ჩურჩული კაცმა — როგორც კი მოვა ვინმე და ლაპარაკს დაგინყვებს, არ დაფრთხე, არ დაიბნე, ბოლომდე მოუსმინე და როცა გეტყვის, ეს საუბარი და მომავალი შეთ-ანხმება ჩვენში დარჩესო, ნყნარად, მშ-ვიდად უთხარი, მე საიდუმლოს შემნახვე-ლი არა ვარ, ძილში ვლაპარაკობ, ყვე-ლაფერს ვყვები, რაც შემემთხვევა და არ გამოვდგები მაგ საქმისთვის-თქო...

ბიჭს რომ ეგონა, სწავლის გავრ-ძელებით სადაც რუსეთში ჯარისკაცად წაყვანას დავაღნიე თავიო, წინ თურმე არანაკლები, შეიძლება უარესი ხიფათები ელოდა... რომ არ დამიჯეროსო?..

შეკილსაჩიხიანი მუქი კეპი ეხურა და ქვე-და ტუჩზე პაპიროსი ჰქონდა ჩამოკონ-ნილებული...

რადიო სოფლის მეურნეობის ახალ ამ-ბებს გადმოსცემდა, კონცერტი მსმენელ-თა თხოვნით დამთავრებულიყო...

* უნივერსიტეტში ფეხის შედგმის დღი-დან მოყოლებული, ბიჭი სულ ელოდებო-და, როდის მიაკითხავდა ვინმე, მისი წარ-მოდგენით სახეჩანაცრისფერებული, გამ-ჭოლი მზერის მქონე, შემპარავი ხმით მო-ლაპარაკე ტიპი და სულ ემზადებოდა მამისგან მოსმენილი ტექსტის რაც შეი-ძლება დამაჯერებლად წარმო-სათქმელად... თურმე ამაოდ... დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ თვალში მოხვედრა ერთია და თვალის

დაპყურებდნენ, ყოველთვის ის სარდაფი ახსენებოდა, მამამ ვითომ სტუდენტობის მისალოცად, სინამდვილეში კი იმისთვის ჩაიყვანა, რომ გაეფრთხილებინა, ეთქვა, როგორ გადაერჩინა თავი ზედამხედ-ველების, იმ მრისხანე გუშაგების პირველი შემოტევისაგან...

მამა არა და თვითონ კი მართლა ლაპარაკობდა თურმე ძილში. მეგობრები-სგან შეიტყო, რომლებთან ერთადაც კარავში ათევედა ლამეებს მთაში სახეტია-ლოდ წასული. თვალის არ მოგვახუჭინე ნუხელო, სიცილით უთხრეს ბიჭებმა დი-ლაადრიან, გეძინა და მრავალგანზომ-ილებიან სივრცეებზე ჰყვებოდნენ რალა-ცებს, ერთადერთი, რაც გავიგეთ, ის იყო, რომ მხოლოდ მეოთხე განზომილებას შეუ-ძლია, ყრუ კედლის მეორე მხარეს ამოაყ-ოფინოს თავი ადამიანს ისე, რომ თავად კედლის მთლიანობა არ დაარღვიოსო...

ზაალ სამადაშვილი



რასაც არ ვატან წყალს...

...ტკბილად მეძინა, იდუმალმა ხმამ რო ჩამჩურჩულა, ქორფა რამეების ყიდვა თუ გინდა, დილის ბაზარს უნდა მიაკითხოო...

„დილის ბაზარი“ გამთენიისას მას-ლაათი არ ეგონოს ვინმეს, ბაზრის დილას ნიშნავს, იმ დროს, როცა კაფანდარა მტვირთავები მიძიმედ მიაგორებენ ტომრე-ბით დაზვიუნულ დაბალ, განიერ ურიკებს და ცარიელ დახლებთან აფუსფუსებული ვაჭრები ხან ერთი მხრიდან გამოსძახიან, ხან მეორედან — განიქვით, სადაცაა „სიფთა“ შემოვაო. „სიფთა“ ის მუშტარია, რომელიც ერთ-ერთ მათგანს პირველი დაუცლის ხელს...

ნამოვხტი, „მალენკოვის“ ჭიქაში ჩაი ჩამოვისხი, ხაზის რადიო ჩავრთე, „პიონერ-თა დაფიონს“ ბოლომდე ვუსმინე, ჩინური პერანგი „დრუჟბა“ შარვალში ჩავიცანე და გარეთ გავედი. კიბალჩიჩის დაღმართი ჩქარი ნაბიჯით ჩავიარე, მუხრანის ხიდზე ოთხი ნომერი ტრამვაით გადავვიდი, კოლმეურნეობის მოედანზე ჩამოვხტი და დახურულ ბაზარს მივადექი. „დახურული“ — არიფებისთვის დაკეტილს და „ბლატ-ნოებისთვის“ ლიას არ ნიშნავს, უბრალოდ, დანარჩენი ბაზრებისგან განსხვავებით, გადახურულია, სახურავი აქვს, რა...

პირველი სართულისკენ არც გამიხე-დავს, ეგრევე მეორეზე ავედი. ავტომობილ „ვოლგა გაზ-21“-ანი ძიები და „ნორკისშუბ-იანი“ ბიცოლები მეორე სართულს ეტ-ანებიან, ოღონდ ასე ადრე არა, მოგვი-ანებით, მთელი ქალაქის რადიოები ექვსჯერ რომ დაინრიბინებენ და დიქტორი ქართულად რომ იტყვის — მოსკოვის დროით თორმეტი საათიაო...

სენ-ლაზარის სადგურის მსგავს უზარმაზარ დარბაზში რომ შევდგი ფეხი, მაშინლა გამახსენდა, რა მომარბინებდა აქ, სახლში ხომ ყველაფერი მაქვს-მეთქი. ჯერ სენ-ლაზარის ვთქვათ და მერე „სახ-ლში ყველაფერი მაქვს“, იმისა...

ეგ სადგური ფოტოზეც მაქვს ნანახი და ვილაც მაგარი მხატვრის რეპროდუქციაზე-ეც. ერთიც და მეორეც ისე მომეწონა, ისე მომეწონა, რომ საფრანგეთის დედაქალაქ-ში მხოლოდ და მხოლოდ მატარებლით მომიინდა ჩასვლა.

ხოლო ჩემნარი კაცი რომ იტყვის, სახ-ლში ყველაფერი მაქვსო, ესე იგი, მაცი-ვარ „სარატოვში“ სამასი გრამი ბრინჯა ყველი, „ლივერნი“ ძეხვი, ნახევარი შეკვრა მარგარინი და თევზის გაუსხნე-ლი კონსერვი ეგულედა. მაცივრის გარეთ კი, კარადაში — „აგურის“ პური, მაკარო-ნი, ხუთი ცალი კვერცხი და ამდენივე შემ-ქნარი ვაშლი...

ავიარ-ჩავიარე აფერადებულ რიგებს შორის. მივაბიჯებდი ნელზე ხელედაწყ-ობილი, ციხის შიდა ეზოში გასასეირნე-ბლად გამოყვანილი პატიმარებით და სა-კოლმეურნეო „ჩასტუშკები“ ჩამესმოდა ჭერში ჩამოკიდებული შავი რადიორე-პროდუქტორიდან. მის შემხედვარეს შიში მიპყრობდა, რომ მოულოდნელად ტრანს-ლაცია შეწყებოდა და ვილაცის ბოხი, ოდნავ მთროლვარე ხმა მეორე მსოფ-ლიო ომის დაწყებას გამოაცხადებდა...

გამყიდველები, კაცინან-ქალიანა, რალაცნაირი გოროზები მეჩვენენ. მეფქვილები, მეხორცეები, მეხილები, მემწვანილები შუბლმეკრულები მიყურე-ბდნენ, არ მოვწონდი, მყიდველს ვერ ხე-

დაგიჯერებსო, უთხრა მამამ, ოცდახ-უთი წლის წინ „პაგონებიანი“ კი არა, „რომ-ბებიანი“ კაცი დამეხსნა, ეს რომ მოვახსენე მიამიტი სახითო...

ვარსკვლავებიანი „პაგონების“ მაგ-ივრად ლურჯი რომბები რომ ეკეთათ გიმ-ნასტურების საყელოებზე, ისინი იყვნენ თუ იყვნენ ურჩხულები, ას და ათას კაცს ისე გააქრობდნენ, ისე გაუყენებდნენ კატორ-ლის გზას, წარბს არ შეიტოკებდნენ...

შეატყო კაცმა, ხასიათი რომ გაუფუჭ-და შეიღს და ბოთლს ნამოვლო ხელი, ჭიქა შეუვსო, თავისთვისაც ჩამოისხა. თვალი ჩაუკრა, მაგრად ვიყოთო, უთხრა და დაამატა, შეიძლება ისე ჩაიაროს ხუთმა წელმა, არც არავინ მოგადგეს, რაც გითხ-არი, მარტო იმიტომ, რომ საფრთხისგან დაგაზღვიო...

შენ რატომ მოგადგენო — ჰკითხა ბი-ჭმა...

რა ვიცი, ეტყობა, თვალში მოხვდი რატომღაც ვირიშვილებსო... — თქვა კაც-მა და დასევდიანდა. შეიღთან ერთად საკ-უთარი თავიც შეეცილა იმნუთას, უმნეო-ბა იგრძნო, ნაცადი ტყუილის შეთავაზე-ბის გარდა, სხვა არაფრით რომ არ შეეძლო დახმარებოდა ყველაზე ძვირფას ადამი-ანს, დაეცვა მოსალოდნელი გან-საცდელისგან...

ბიჭს კი საოჯახო ალბომში ნანახი მისი ძველი, სტუდენტობისდროინდელი ჯგუ-ფური ფოტო გაახსენდა. სურათზე აღბე-ჭდილი გამხდარი, შავტუხა ბიჭი დიდად არ გამოირჩეოდა გვერდით მდგომი თანა-ტოლებისგან; მასაც გრძელი, მამის ან უფროსი ძმის ნაქონი პალტო ეცვა, გაფ-

დადგმა — მეორე. „მათ“ მზერას არავინ გამოეპარებოდა, ყველას უთვალთვალბე-დნენ, მაგრამ საკბილოს შერჩევასზე რომ მიდგებოდა საქმე, სავარაუდოდ, მონეს-რიგებულეს, განონასწორებულეს ანი-ჭებდნენ უპირატესობას, ვისი ტყვიის გან-ჭვრეტაც შეიძლებოდა წინასწარ, მათთან მიდიოდნენ „სალაპარაკოდ“...

მას მოწესრიგებულობის და აუმღვრე-ვლობისა არაფერი ეცხო, უფრო პირიქით. ზუსტი მეცნიერების შემსწავლელი ფაკულტეტის სტუდენტი იყო და ჰუმანი-ტარული საგნების შესწავლისკენ მიუწე-და გული; ლექციებს ხშირად აცდენდა და კურსიდან კურსზე გადასაყვან გამოცდებს რის ვაი-ვაგლახით აბარებდა; ლუდით იჭყიპებოდა და „ჩაკიდულის“ დაღევაზეც არ ამბობდა უარს, გრძელი თმა უფარავ-და კეფას და ყურებს და „ტრანზისტორზე“ ყურმიდებული საათობით უსმენდა როკენ-როლს; ქუჩის ბიჭებთან ამხანაგობდა და ამის გამო მსუბუქ შარებში ეხვეოდა ხან-დახან... მოკლედ, თვალში მოსახვედრი კი იყო, მაგრამ „პაგონებიანი“ ხალხის თვალ-დასადგმელი — დიდი ალბათობით — არა...

მოგვიანებით, საკუთარ თავს რომ დაე-კითხებოდა ხოლმე, როდის დაიწყო იმის გააზრება, რომ ქვეყანა, სადაც ის ცხ-ოვრობდა, უზარმაზარი, ყრუ გალავნი შემოღობილ ტერიტორიას ჰგავდა მასზე მიმოვანტული პირქუში ბარაკებით და თვითონ ერთ-ერთი ბარაკის ბინადარი გახლდათ, რომელსაც სხვა ბინადართა მსგავსად გალავანში ჩაშენებული მაღალი კოშკურებიდან მრისხანე გუშაგები

ანაბრამული სატები და ჩვენებანი

რვა პაატაური რვა-რვა სტრიქონად

დავდენ ჩემში. მარტო მეყველები მილიმოდენ, თუცა, რომ მიფუახლოვდი მათ, შევამჩნიე, თავს ძალას ატანდნენ, მხოლოდ ტუჩებს სწევდნენ განზე, კბილებს აჩენდნენ, თვალზე კი არაფერი ეტყობოდათ კეთილგანწყობისა, ოდნავადაც არ უციმციმებდათ...

უცხად მომხივდა და, არც მეტი არც ნაკლები, სადღესასწაულო კერძით, შემწვარი ქათმით მომიხდა ცარიელი კუჭის ამოვსება. ელვის სისწრაფით დავტაცე ხელი დახლზე გამწკრივებულ ბარკლებსავე ვარიკებიდან ერთ-ერთს და გასასვლელისკენ მოვუსვი. დაიჭით, არ გაუშვათო, მომაცოცხეს უკნიდან. ორფრთიან, ფართოდ გაღებულ კარამდე ისე მივალნიე, მუჯლუგუნების კვრა არ დამჭირებია. იოლად ავუქციე გვერდი ყველას, ვინც გზა ვადამილობა. გავვარდი გარეთ, დავეშვი კიბეზე და, ჰაიდა, სანაპიროსკენ...

მეიდნამდე სულმოუთქმელად ვირბინე, მეტეხის ხიდთან შევჩერდი, თავი მივატრიალე, რომ დამენახა, მომდევდა თუ არა ვინმე და შიმისგან სუნთქვა შემეკრა — მთელი ბაზარი ჩამდგომოდა კვალში, მღვერების რაზმეულს ყველის ვაჭრები მოუძლოდნენ წინ, კბილები კვლავ დაკრეჭილი ჰქონდათ გულსგარეთა ღიმილის ნიშნად...

მიახლოვდებოდნენ. სხვა გზა არ მრჩებოდა, უნდა შეველეოდი ნადავლს. არ დავაყოვნე, რაც ძალა და ღონე მქონდა გავიქნიე ხელი და გავტყორცნე მათკენ. ჰოი, საოცრება, სანამ მღვერთა წინა რიგს მიაღწევდა, გავტყორცნილი ვარიკა თოლიად გადაიქცა და ბუმბულით შემოსილი და ფრთებგამოსხმული ცაში აიჭრა, მტკვრის თავზე მოლივლივ თანამომძებების გუნდს შეუერთდა...

ამ სასწაულის ხილვით გაოგნებულმა მოვაჭრეებმა მზერა მომაცილეს და ზევით, ღრუბლებისკენ გადაიტანეს. სანამ მათ მეტყველების უნარი და დევნის ჟინი დაუბრუნდებოდათ, უკვე შორს ვიყავი — ოცდაექვსი ბაქოელი კომისრის სახელობის მოედანზე, კინოთეატრთან, სადაც კინოსტუდია „დეფას“ ახალი ფილმის — „ჩინგაჩუკი დიდი გველის“ — გამოსვლას იუნყებოდა ვეებერთელა, ხელით ნახატი აფიშა — ნელზევით შიშველი, დაკუნთული ინდიელი ჩვეულებრივ გრძელლულიანი თოფით ხელში...

სად იყო და სად არა, მკერდზე სასტვენჩამოკონწიალებული, ჩექმებიანი მილიციონერი მომადგა და თვალების ბრიალით მითხრა — აქ ნუ გაჩერდები, ამხანაგო, გაიარეო... გულით მინდოდა ფილმის ნახვა, მაგრამ ბრძანებას დავემორჩილე და თავი იმით დავიმშვიდე, რომ ეკრანიზაციას ლიტერატურული პირველწყარო ჯობს ყოველთვის და ახლომდებარე წიგნის მალაზიას მივაკითხე...

„უკანასკნელი მოპიკანი“ თუ გაქვთ-მეთქი, ვკითხე გამყიდველს. გვაქვს, მაგრამ ტალღონებზე ვყიდით, ასე კილო მაკულატურა უნდა გქონდეს ჩაბარებული ჩინგაჩუკის, უნკასის და ნეტ ბამპოს თავგადასავლის ნაკითხვის უფლება რომ მოიპოვო... უტალონოდ რა გაქვთ-მეთქი... სათავგადასავლოები არაფერი, ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და გორკის „დედა“-ო...

რომ შემაჟრიალა და მალაზიიდან გასვლა დავაპირე, კართან ვილაც კაცები აისვეტნენ. ლურჯი მაკინტოშები ეცვათ, ფეტრის შლაპები ეხურათ და ხელში გამყიდველის მიერ დასახელებული წიგნები ეჭირათ. მიყვიროდნენ, სანამ ორივეს არ ნაიკითხავ ჩვენი თანდასწრებით, აქედან ფეხს ვერ გააღვამო. როგორც კი წარმოვიდგინე, რაოდენ მძიმე იქნებოდა და რამდენ ხანს გასტანდა ჩემი ტანჯვა, გამონვეული ორი ვრცელი და ყოვლად უსარგებლო ტექსტის დეკლამირებით, ზედმეტი მღვერებისგან გონება დავკარგე და ნახერხმოყრილ პარკეტის იატაკზე გავიშოტე...

*

სიზმარი ყოფილა, მეძინა და ძილში ვხედავდი თურმე: ვინმე მალენკოვის, ბოლშევიკთა ერთ-ერთი ბელადის გვარით „შემკობილ“ ნახნაგოვან ჭიქას, მამაკაცის უშნოზე უშნო, ჭყეტელა ფერის პერანგ „დრუჟბას“ იარლიყზე ორი გადაჯაჭვული რგოლით, ქუჩის დასახელების აღმნიშვნელ აბრას რუს ტერორისტ კიბალჩიჩის გვარით, პატარა, ოთკუთხა მაცივარ „სარატოვს“ მწირი, ღარიბული შიგთავსით, ბაზრის გამყიდველებს სიცილის ნიღბის გრიმასით, რაც განმარტავდა ერთ „ფრთიან“ გამონათქვამს ყველის ვაჭრების შესახებ, გრამოფონის ნიჟარის მსგავს რადიორეპროდუქტორს, მოედანს, სადაც ჯერ არ აღემართათ ოთხი ბაქოელი კომისრის ძეგლი, წითელზოლიან გალიფსა და საცხით გაპრიალებულ ჩექმებში გამოწყობილ მილიციონერს, მრისხანე ძიაკაცებს კოჭებამდე მაკინტოშებში, აგურებით მძიმე, დამაფრთხობლად სქელტანიან წიგნებს, კინოაფიშას წითელკანიანთა ბელადის გამოსახულებით...

ყოველივე ეს გაღვიძებისთანავე მოვეყვიე, წყალს გავატანე, სქელპირიანი ონკანიდან უწყვეტად მდინარე ჭავლს, ჩემს მიერ დაწუნებულ ღამეულ ხილვათა ერთგულ მსმენელს, საკუთარ წიაღში მათ მშთანთქმელს...

რამდენიმეწუთიანი ბუტბუტისას არ მიხსენებია სენლაზარის სარკინიგზო სადგური, მტკვარზე გადებული მუხრანის ხიდი, წითელი ტრამვაი ნომერი ოთხი... არცერთი რამ, რის კვლავაც დასიზმრების, ანდა ცხადში ნახვის სურვილი მქონდა...

არც იმ გასაყიდად მოკვდინებული ფრინველის ამბავი მომიყოლია, მე რომ ავწაპნე, რომ გაცოცხლდა და თოლიად იქცა... რა ვიცი, ხომ შეიძლება, სიზმრის ეს ეპიზოდი კარგი მოთხრობის დაწერის სახით ამიხდეს, ისეთი მოთხრობისა, როგორც „თოლია ჯონათან ლივინგსტონია...“


სატი პირველი: ღვთისმშობელი ყრმით

აქ ღვთისმშობელი ყრმითაა. მე მოველ ჩემის მაცრითა!

ეს ღვთისმშობელი ყრმითაა. მე მოველ ჩემის ყამართა!

დღეს ღვთისმშობელი ყრმითაა. რად იარალთა ამცრითა!

გულზე რად მინას მაცრითა, ღვთისმშობელი ხომ ყრმითაა!



სატი მეორე: ღვთისმშობელი უყრმოდ

ეს ღვთისმშობელი უყრმოდ. დილადად უნდა უარმყო!

დღეს ღვთისმშობელი უყრმოდ. სასწრაფოდ უნდა უარმყო!

აქ ღვთისმშობელი უყრმოდ. თაინად უნდა უარმყო!

გულწრფელად უნდა უარმყო! ...და ღვთისმშობელიც უყრმოდ.

2002: ჩვენება ნიუ-იორკში

მაგ მესიჯების სიტყვები ძველ მოგონებებს კემსავენ, რამდენი წელი გასულა, რამდენი, შენი კვენესამე!

ვისაც გრძლად გადასაჭერიც გადაუჭირავს მოკლედ, ვერას დააკლებს პროკრუსტი, ვერას დააკლებს დამოკლედ!

შენ რომ გგონია, ის არ ვარ, სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა! დაბადების დღის ყვავილებს თან მოაქვთ შორი საარიც.

მზეო, (ჩ)ამოდი, (ჩ)ამოდი, ნუ გეშინია ფარდისა, თანაბრად გამიცისკროვნე ბინა, სხვენით თუ სარდაფი!



2007: ჩვენება გ(ი)ზაში

ერთი ნახეთ, სფინქსის ჩრდილი საიდან და სად წასულა, თავით სწვდება პირამიდას, კუდი უდევს მასტაბაში, ეს თუ არა, მაშინ მარქვით, სხვა რა იქმის სასწაულად, აქ პატარაც არის დიდი, იმისთანა მასშტაბია!

ყვითელ მტვერში ისე მოჩანს პანანინა პირამიდა, გაშვებული თითქოს ცაში გამჭვირვალე ფრანიო, გაოცების ფიალები ავსებული პირამდია — ფრანით ხელში ჩემკენ მორბის 12 წლის ფარაონი.



სურათზე: ლუკას ჰაზეგავა, ღვთისმშობლის ფრესკა იაპონელ ნამებულთა ეკლესიიდან ჩიტიგაეკიაში; სფინქსი და პირამიდები გიზაში; ქა კინტა-და-რეგალიერაში.

2011: ჩვენება კონიაში

წითელ-ყვითლად დაუნთია მთა-გორები შემოდგომას, გეგონება, სადაცაა ზაფხულს ცეცხლზე შემოდგამსო.

მაგ სხეულის ვიტრინა და მაგ სხეულის სამალავი გუჩია და ვერსაჩე და შანელი და მასლავი!

ბუხარა და სამარყანდი გამახსენა ტკბილმა ნესვმა, აღმოსავლით — ბაღდადი, დასავლეთით კი — კონია. თუ ბუხარა-ბაღდადებში კუმისსა და შარბათს სვამენ, კონიაში ჩვენ ყველაფერს ვამჯობინეთ კონიაკი.

2014: ჩვენება პირსალში

როგორც გარეჯის უდაბნო, მზის გულზე იწვის ვერსალი, თვითონ არ ვიცი, რა მინდა, ვის ველი ანდა რას ველი.

ვდგავარ და შარას ვაცურებ, ხან ხორცი მენვის, ხან სული, თითქოსდა საბა გამოჩნდა, რომელი არი სულხანი.

თითქოსდა ძეგლი გაცოცხლდა მეთოთხმეტისი ლუისა, თითქოსდა ლუის ცოლია ეს შორტიანი ასული.

წვერი აქვს თითქოს იმ ყმანვილს ვინმე მირზისა აბასის, მოდის სულხანი, ადარდებს სადარდებელი საბასი.

2018: ჩვენება თბილისში

თითქოს ეთქვას ანთეოსს, ჩირაღდანი ანთეო, თქვენ ეს არ გესწავლებათ, თბილისო და ათენო! ვინ იწვის და ვინ ცხვება, — ისტორია თონეა, 100 წლისა გამხდარა რესპუბლიკა ნოეთა!

ფიქრში უნდა უძილო ღამეები ათენო, თქვენ ეს არ გესწავლებათ, თამრიკო და თეანო, თქვენ ეს არ გესწავლებათ, სანდრო ხარ თუ თეონა, 26 მაისი 100 წლის წინ აენთო!

2021: ჩვენება კინტა-და-რეგალიერაში

ვინ ჩამარჭო გულს ლახვარი, ვინ — პირიქით — ამომარჭო... ცალ ყურს ავმა ჭორმა ავნო, ცალს აამა ამოჭორმა, სიცოცხლის და სიკვდილის გზა დაიტია ორმაჭამო, ორმომჭამა ორი ორმო, ორმა ორმომჭამა ორმო.

სიზმრად ვნახე, სიზმრის დევმა თითქოს ხელი მომაჭრაო, არ იქნება, ეს ქვეყანა შენს ჭკუაზე არ მოჭამო, მერე რა, რომ ჩვენი ყოფა ამ ღვინისებრ მომაჭროა, რა მოხდება, ჩემ გემოზე რო მასვა და რომაჭამო!



შოთა
ზოიძე

მომავალი წიგნიდან „მეთოთხმეტე მოციქული“

მთელი ცხოვრება ფათერაკი მეძებს.
სიკვდილს ვერა და ვერ დავემალე.
პარტიზანივით ავდივარ ხეზე,
მალიდან ვაკვირდები არემარეს.

ელექტრონიკამ ციფრული საუკუნე
შვა და უძღურია ჩემი სიმამაცე,
ალბათ მე ვარ ის ერთი უგუნური,
მგონია, ბოროტებას მარტო დავამარცხებ.

უკვე დაძველდა ბერდენკა და ნაგანი,
მაუზერიც დაძველდა, ჯავშანი ნითლების.
თავგასულია ყველა მათგანი,
მე კი ავანტიურისტად ვითვლები.

ყველაფრისაგან ხელი დამიბანია.
ცხოვრება რთულდება დღითი-დღე,
გიგზავნი ბარათს — ДО ВОСТРЕБОВАНИЯ,
თუ არ მოიკითხებ, ვერ ნაიკითხავ,

დაბადებული არ ვიყავი მაშინ,
რკინის თეატრში იცეკვა დუნკანმა.
ბალერინა იყო და ცელქი ბავშვი,
ორკესტრი ჩვეულებრივად უკრავდა.

ოვაციამ იფეთქა, როგორც ვულკანმა,
ნეონის შუქი ანათებდა მის სცენას,
ბათუმში იცეკვა აისედორა დუნკანმა,
მეუღლეს მოსკოვში წერილი მისწერა —

„თავის მოკვლა თუ გინდა, ბათუმში ჩამოდი“,
არ ვიცი, საით, მაგრამ ისიც ჩქარობდა.
ალაგებდა სამგზავრო ჩემოდანს
და დაგვყურებდა ზემოდან.

ბათუმში იყო ქალაქი საპორტო,
მაგრამ არ იყო პოეტების ოცნება,
აისედორას თან ჰქონდა აშშ-ს პასპორტი
და ესენინთან ქორწინების მოწმობა.

იბეჭდება ათასობით ლექსი.
ცოტა ქუხს და ძლიერ ცოტა გუგუნებს.
ზოგი ლექსია მანეკენთან სექსი,
უსისხლო, უხორცო და უგულო.

პოეზიაა სუფთა ჟანგბადი,
უჟანგბადო ლექსის არაფერი მესმის.
ლექსი არ იწერება, ლექსი იბადება,
არ არსებობს ლექსის წერის წესი.

მაიაკოვსკია გიგანტური ჰესი,
ზოგი იღრინება ბებერი დოგოვით.
ვერლიბრია მანეკენთან სექსი,
პოეზია — ლილი ბრიკის ლოგინი.

ანდრე ვოზნესენსკის მოტივზე

მე არც გრიგი ვარ და არც ვან გოგი,
მე ვარ გოია, მე ვარ გოია,
ასე მგონია, იმას ვამბობდი,
რომ თვითმკვლელობა დასაგმობია.

მე მსგავსი არაფერი მატყვია,
დამდევენ წინაპრების ლანდები,
წამომენევა გზაზე ბრმა ტყვია
და დედამინა შეტორტმანდება.

ალარ მიტაცებს ძველი საგნები,
მე ვარ გოია, მე ვარ გოია,
როგორც გეძებდი, ისე გაგნებდი
და თავი გენიოსი მგონია.

ბულონის ტყეს მირჩენია ბორჯომის ტყე,
მას უკეთესობა ვერაფერში შევატყე.
ტყე ტყეა, მაგრამ სხვაა გიდეულას ტყე,
საირმის ტყე, ბახმაროს ტყე, ბორჯომის ტყეპარკი.

მაგრამ არ ვიცი, რას ფიქრობდა რემარკი,
რემარკს არ ჭირდებოდა შენი სენაკი.
ცოტა კიდეც და ყველაფერს გავარკვევ,
შეკვეთილში შენდება ახალი ტყეპარკი.

მომწონს ტყეპარკიც, შეკვეთილის გაკვეთილიც,
შეკვეთილში არასოდეს ყოფილა მარკესი,
ლამაზდება ზაქარა პაპას ნაკვეთით,
მაგრამ ქართველებს ერთმანეთის არ გვესმის.

არასოდეს დამიხევიდა უკან,
არ ჩამინოდებია უკან პასი,
ყველგან დამაქვს საქართველოს რუკა,
ყველგან დავდივარ უკომპასოდ.

მომივლია იტალია, მექსიკა,
რუსეთი, ბრიტანეთი, კანადა,
არცერთი არ არის ჩემი ლექსიკა,
ჩემი ლექსიკაა ივერიის კალანდა.

შხარა და თეთნულდი ცაში მიდიან,
მტკვარია ჩემი დედა მდინარე,
საქართველო დავითივით დიღია,
თამარივით ლამაზი და მდიდარი!

ალარ მიცინიან შენი ფარდები,
თერძები ზამთრის ქურთუკებს კერავენ.
მე ანი არავის არ შეფუყვარდები,
სიყვარულს ველარ ავუსხნი ვერავის.

ზოგჯერ ვერთობი ჭადრაკის თამაშით,
ვოზნესენსკის ლექსების ქართულად თარგმანით,
ხანდახან მგონია, ვზივარ სანგარში
და მე ვარ დიდი შენაერთის ფლაგმანი.

რალა ვალსი და რალა ლამბადა,
მე ახლა ვგავარ ჯვარცმულ მაცხოვარს.
მადლობა უფალს, რომ ჩემს დროში დამბადა,
მადლობა უფალს, რომ შენს დროში მაცხოვარს.

ფოიერვერკებში ნაკლებად ვერკვევი,
ნაკლებად მაკვირვებს ფოიერვერკები,
მე კოცონს ვანთებ ხმელი ნეკერით
და საყვარელთან მივერეკები.

მე არც ვენერა და მარსი მიტაცებს,
უცხოპლანეტელებს არ ჭირდებათ ლექსები,
თავისუფლად ვეტივეი საკუთარ მინაზე,
და ენერგიითაც ვივსები.

მთვარე გავზომე, დედამინა ავნონე,
და გაგარინსაც ხელი ჩამოვართვი,
თავი იმითაც ვერ მოვანონე,
ვისაც ჩემი სიყვარული მართებთ.

მე, ვინაც ფეხი დავადგი მთვარეზე,
გადავდგი ნაბიჯი, ავიღე გრუნტი,
როგორც უჩინმაჩინთან მოასპარეზეს,
ზოგი განზე გადავა, ზოგი გამებუტა.

მე კი მე, ვიცი, მეყოფა ის ერთიც,
რომლითაც მუდამ ამაყობს მშობელი,
ჯვარცმული რომ არი, ისეთი,
დედამინაზე ჯერ არ შობილა.

ფოიერვერკებში ნაკლებად ვერკვევი,
ნაკლებად მაკვირვებს ფოიერვერკები,
მე კოცონს ვანთებ ხმელი ნეკერით
და საყვარელთან მივერეკები.

გორდონ რამსის რესტორანი ლონდონში

დავაჭაშნიკე თევზის სუფი,
ერთი ულუფა ას ოთხმოც სტერლინგად.
ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას,
ძალიან მაღალი ჯეკპოტი მოვიგე.

ვერ განვდები, თუ არა ხარ გმირი,
გმირი — არა, უნდა მეთქვა ოლიგარქი,
რამდენია მემის ჯამაგირი,
თუ გინდა ხელფასი დაარქვი?!

ვიდეოზე აღებეჭდე რესტორნის კადრები,
აქ დემოკრატია სიფრთხილედ მართებს,
გასასვლელში ისეთი რამ მკადრეს,
ვერც კი წარმოვიდგენდი ადრე.

დემოკრატია ქვისკენ იბრუნა პირი,
ანტიდემოკრატია თავისას არ იშლის,
ვიდეო — არა, ჩამომართვეს ფირი,
მადლობა მითხრეს და გამიშვეს.

599 100 224

სათაურში მობილურის ნომერი,
პაროლი — სამოთხის ფრინველი,
პირველი დამირეკავთ რომელი,
თქვენ შორის ვინ იქნება პირველი?!

ზამთარი მიყვარს მეტნაკლებად,
თეთრი პეპლების ზეციდან ცვენა,
დამირეკეთ, ვისაც გენატრებით,
ვისაც არ გენატრებით — თქვენაც!

სიყმანვილეს ადრე გამოვცდი,
გიყვარდით ჩემი სიცილი,
ყველა მიყვარს, ვისაც გაკოცეთ,
ვისაც არ გაკოცეთ — ისინიც.

დაარისხეთ მოგონების ზარი,
არ დააცხროთ სიყვარულის ნიჭი,
დარეკეთ, ვისაც არ გეზარებათ,
მე უთქვენოდ მიჭირს.

ცხოვრებას უცხო გზებით მიყვავდი,
გზა და გზა მწუხარებამ იმატა,
დამირეკეთ, ვისაც გიყვარდით,
ვისაც არ გიყვარდით — იმათაც!

მე ვარ მერიქიფე ანუ განიმედი,
მე ვარ განიმედი ანუ მერიქიფე,
მე შენ გეძახი და მე შენ გაიმედე,
როცა გინდა, მაშინ ერთად ვიქეიფოთ.

მე ვარ განიმედი, ზევსის მერიქიფე,
მაგრამ შორს არი ჩემი გამარჯვება,
მეტი ვერაფერი ველარ მოვიფიქრე,
ზევსი სიმართლეში ველარ დავაჯერე.

როცა ლეთისმეორი მეტაფორა ვიგრძენ,
ბუხარში აგიზგიზდა პრომეთეს ცეცხლი,
მეთორმეტე საუკუნეს გავაღვიძებ
და ოქროს ხანას გავაცოცხლებ!

მე ვიცი, შენ იცი, მან იცის,
ჩვენ ვიცით, თქვენ იცით, მათ იციან,
მაგრამ ჩვენ სხვანაირად განვიცდით,
ჩემო მშვენიერო პატრიცია.

არა მაქვს ამის მეტი ამბიცია,
რაცა ვარ, ესა ვარ, რაცა ვარ,
ჩემო მშვენიერო პატრიცია,
მე შენგან არასოდეს არ წავალ!

ცხოვრებამ ისეთი რამ მასწავლა,
ისტორიამ მსგავსი რამ არ იცის,
მე შენგან არასოდეს არ წავალ,
თუ გინდაც, ქვეყანა დაიქცეს!

ძილის წინ — კატაბალახა,
დილით — კორსიზის აბი,
ნეტავი არ დამენახე
ნარინჯისფერი კაბით,
ცაში წაგიყვან კიბით,
ზღვაზე გაგედები ხიდად,
მიყვარხარ კიდევ და კიდევ,
ადამ და ევას ხნიდან.

დასრულდა ჩვენი ხანგრძლივი კონფლიქტი,
თავიდან მე შენ გეგონე მეკობრე,
საზეიმო სუფრა დავაკომპლექტეთ,
სოფი პიკის მენიუთი და მეგობრებით.

სუფრა გაიშალა მთაწმინდის პლატოზე.
სუფრას ამშვენებდა ერთი ამორძალი.
მე შეყვარებული ვარ ნატაზე
და ამ სიყვარულს ვერავინ ამიკრძალავს.

გემრიელია აკრძალული ნაყოფი.
ახლაც ვპასუხობ ზარებს ანონიმებს.
ღმერთმა შენი თავი კარგად მიმყოფოს,
მე არ შევიცვლები ჰამურაბის კანონივით.

ჩაიფერფლა საუკუნე ატომის,
გახლეჩილმა ატომმა სამყარო გახლიჩა.
არ მჯერა სიყვარული პლატონური, —
მდელო ვერ გახდება ხალიჩა.

გაიხლიჩა მსოფლიო ძლიერად და სუსტად,
დიდად და პატარად, მდიდრად და ღარიბად.
ასე იყო, ახლაც ასეა ზუსტად,
უზუსტობის არ არსებობს ალიბი.

ასეა ოკეანის გამოღმა და გაღმა,
მგელივით მოგვეძალა სიკვდილი შიმშილით.
ვიგრძენი სიცივე და სახსრების დაღლა,
დიდი თვალები აქვს შიმშილს შიშით.

ცრემლი

მე კი არა, ტირიან ხანდახან
ჰამლეტიც, ლირიც, ერეკლე მეორეც,
ერეკლემაც იტირა, როცა დახედა
კრწანისის ომში დაცემულ მეომრებს.

არ დავუჯერე საკუთარ თვალებს,
სტალინიც კი ატირეს მუხთილებმა,
ცრემლი არ უხდება ბავშვებს და ქალებს,
ცრემლი გმირებს და ვაჟკაცებს უხდება.

ძველი ბათუმის ვიყავ მენესტრელი,
ახლა ვარ საპატიო ბათუმელი,
„ბათუმქალაქობას“ კიდევ დავცნობები,
მაგრამ არ ვიცი, მერე რა მომეღის.

მე არა ვარ მისი მშენებელი
და არც ქვაფენილის დამგებელი,
მას მეტაფორებით დავამშვენებ,
მისი ტოროლა ვარ მგალობელი.

მე გრანდოპერას ვერ ავაგებ,
მე ვარ პოეტი-მენესტრელი,
ბათუმს ჭირდება მოამაგე,
პარმენ ლორიას ბიუსტივით.

არ ვიცი, კიდევ როდემდე გასტანს
ეს ურიამული და ფორიაქი,
მე ველოდები ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩემს ახალ ვარსკვლავს და ზოდიაქოს.

მე ველოდები ახლა ცის გახსნას
და არა ქარბუქს, გრიგალს და სეტყვას,
და რაც მე ვერ ვთქვი, უფალმა ახსნა,
სიმართლეს მხოლოდ უფალი გეტყვის.



**მიშიკო
ხალიჩაშვილი**

ღამაგვიანდა

წავეყვები უხმოდ ოცნების ქუჩებს
და როგორც ლადოს, ლექსი მომშივა.
ზაფხული ვარდებს უფურჩქნის ტუჩებს
და ბალებს ადენს ვნების ოხშივარს.

მეწვევა შენი ცოდვილი სახე
და ჩამკვდარ ფიქრებს ამიკელაპტრებს,
სიცოცხლის ფურცლებს კალენდარს ვახევე —
სევდით გაბერილ თითქმის ყველა დღეს.

ჩამოიბურა ბინდი ჩვეულად,
ზეცამ თვალები ჩუმად მილოულა,
რაც კი სითბო გაქვს მაგ მთელ სხეულში,
ეგ სისასტიკე აქცევს ყინულად.

მეც დაბრუნება დამიგვიანდა...
ვამბობ, მიყვარხარ და ამით ვთბები,
ზამთრის ქარები ქუჩებს ჰგვიან და
შენ გეთოვლებს სიჩუმით თმები.

ეს როიალიც მოჰგავს პეპელას,
რომლის მახლობლად უჩუმრად გლანდავ.
ჩუმად მიყვები ფიქრის ხეულებს
და სიტყვის ძაფებს ვაბამ და ვბლანდავ.

გულის ბუხარში ფიქრებს ვუკეთებ,
ვამბობ, შემთხვევით ავრიე კარტი
და ინვალიდის ეტლში ჩამჯდარი
ცის ხეივანში მიგორავს მარტი.

მეც მივდევი უხმოდ ოცნების ქუჩებს
და როგორც ლადოს, ლექსი მომშივა.
ზაფხული ვარდებს უფურჩქნის ტუჩებს
და ბალებს ადენს ვნების ოხშივარს.

სიმარტოვის ბედუნი

სიმარტოვეზე ცუდი არ იწერება,
აი, ეს არის უბედური ყოფის მიზეზი.
ჩემი ლექსები ცაზე სხედან, როგორც მტრედები
და სიმარტოვის უდაბნოში ოაზისები
რომ ჩანს,
მე ახლა იმ უდაბნოს ბედუნი ვარ.
მე მარტო ვცხოვრობ და არასდროს არ მყავს არავინ.
პირუტყვის ნაცვლად ლექსებს ვმწყემსავ დიდი ხანია,
თხის მატყლისაგან მოქსოვილი დამაქვს კარავი.
ბედნიერებას ხელი ვკარი... ვილაც მაფიცებს,
რომ წვიმით სავსე შევიყვარო ღრუბლის კასრები
და მენამული ზღვის კი არა, განცდის ნაპირზე
ახალი მექა დავაარსო და იასრიბი.

ინვა შამოღომა

საკრე ანგელოზთა სუნთქვით დაიორთქლა,
ქარის ბაგეებიც მწარე გემოსია.

წვიმამ ფანჯარაზე ცრემლი შეატოვა,
ასე გამოხატა თავის ემოცია.
ბნელმა შეისრუტა მთელი დედამიწა,
ნათელს გარინდების მოხსნეს თაბაშირი.
ლამემ ცის თონეში მთვარე გამოაცხო,
მერე ჩაიტეხა ხელში ლავაშვითი.
ინვა შემოდგომა, გველის ტყავიანი,
წინ კი იანვრევის ჩანდა ყინულეთი...
სადღაც, პარალელურ ცისფერ სამყაროში,
ქარმა შეარხია ღმერთის სილუეტი.
ინვა შემოდგომა, გველის ტყავიანი,
ჭრელი თვალები კი — სევდით სავსეები...
ფოთლის ფირფიტები მიწას მიაყარა,
როგორც ანგელოზთა ფრთების ნამსხვრევები.

უშენოდ ანუ უმზეოდ დავრჩი
და მკვდარი ფიქრი მიცხელებს კეფას,
შენს ნაცვლად ახლა სხვა დადის ბაღში
და დილის ცისფერ ყვავილებს კრეფავს.
უშენოდ ვდგავარ სარკმელთან ახლოს,
ამ დილას თითქოს სუნი აქვს მაჭრის.
აპრილიც მოვა ლურჯთვალა მზერით
და ზეცას მერცხლის კუდებით დაჭრის.
შენს მერე გული სხვა ფიქრებს მიყავს,
ოცნების ფითრი ედება ხეებს,
ნახევრად ვცხოვრობ, ნახევრად მიყვარს
და ჩუმი სევდით ვანუხებ დღეებს.
უშენოდ ანუ უმზეოდ დავრჩი
და მკვდარი ფიქრი მიცხელებს კეფას,
შენს ნაცვლად ახლა სხვა დადის ბაღში
და დილის ცისფერ ყვავილებს კრეფავს.

მანელაოსის წერილი ელენას

რომ ჩემებურად მუდამ მიყვარდი,
გულწრფელობაა, განა მითი და...
შენი ლამაზი გრძობის ბეჭედი
მე სხვამ მომპარა გულის თითიდან.
ყოფას მიშხამავ შენი ღალატით,
ამ ფანტაზიას ფიქრი დახატავს:
ვხედავ, მუხლებთან გინევს პარისი
და კითარაზე გიმღერს რალაცას.
ლაშქარს მოვუძღვი ბერძენ მეფეთა,
მსურს დაგნვა შენი ტროფობის გიშერი.
არესის შუბით ტროას დავლენავ
და თვითონ ზევისიც ვეღარ გიშველით.
ღალატის გველით მიშხამავ ყოფას,
სულის ცაც რძისფერ ნისლით მოცულა.
მართლა მიყვარდი! ჩემი ლაშქარით
ტროასთვის არა! შენთვის მოვცურავ.
თუმც ტროას ცხენი იქ მელოდება,
ტალღებს უყურებს, ჩემს გემს დარაჯობს.
დავინახავ და... სულის მაჯაზე
შევიკრავ მედგრად რისხვის სამაჯურს.


დასაწყისი N242

ნუნუა

გიო სახლში გვიან მივიდა. ისევ მთვრალი იყო. საშინლად ჰქონდა მობეზრებული საკუთარი თავი. არა მარტო სიმთვრალეში, სიფხიზლეშიც, მაგრამ ახლა მთვრალი იყო და განსაკუთრებით სიმთვრალეში აღიზიანებდა საკუთარი სხეული. სხეული, რადგან სულისგან თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო, იმდენი კი, რამდენიც გასალიზიანებლად და შესაზივლებლად იკავებდა. ერწყვივებოდა. კარგა ხანს იკავებდა ღებინებას. ამ ძველ, გიჟურ და შეურაცხად ქვეყანაში რატომღაც მიღებული იყო და განსაკუთრებულ ვაჟკაცობად და მაღლად ითვლებოდა, თუ ბევრ ალკოჰოლს ჩაისხამდი, მაგრამ მაინც ფეხზე იდგებოდი და ხელუბნო ქნევით ათას სისულელეს იყებებოდი. სმამი სირცხვილი და თავის მოჭრა შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული — ბარბაცი, ნაქცევა, რწყევა და ბოლოს ჩაფსმა. ჩაფსმა ბოლო სირცხვილი იყო, მაგის ქვევით სმის ამბავში აღარაფერი შეგარცხვენდა. თუ სიმთვრალეში გააფრენდი, მაგრამ იხუბებდი, რაღაცებს დაღენავდი, ვიღაცებს ზედ მიყვებოდი და შენც მეორე დილით მსუბუქად აკოჭლებული დაუბრუნდებოდი მშობლიური ქუჩის სოციალს, ამას მხოლოდ მიესალმებოდნენ. ისე, ტყუილად, ყასიდად, მონონების ღიმილით თუ გისაყვედურებდნენ, როგორც დე ტრევილი თავის მუშკეტერებს მორიგი დუელის შემდეგ, როდესაც დე ჟუსაკს და „იმ უბედურ ბერნაჟუს“ საგანგებო მოხერხებით გამოადრავდნენ ყელს. გიორგიც ამ ღვთაებრივ გარემოში გაიზარდა და ველარც ვერასოდეს უარყო და უგანა დღემდე ამ ვიღაც იდიოტისთვის „დრომოჭმულ და სამარცხვინო“, ვიღაც იდიოტისათვის კი „ცხოვრების აკადემიად“ ქცეულ და ყველა სხვა ჩვეულებასავით იდიოტურ ტრადიციას. იდგა ტუალეტის კართან, ქანობდა და ყელთან მომდგარი ცხადად ახსენებდა, რომ ასეთი პირუტყვეული სმა და მთელი დღეები და ღამეები სუფრასთან ჯდომა სწორედაც რომ იმ გენიალური ძველი, ანტიკური ბერძნებისა და რომაელების გავლენა იყო, ისევე როგორც სტუმარ-მასპინძლობისა და სისხლის ალების — ვენდეტის — კულტი. თუმცა ძველმა ბერძნებმა ანტიკური ხანიდანვე მთელი მსოფლიოს ცივილიზაციას ჩაუყარეს საფუძველი და მთელი ევროპა დღემდე, 30 საუკუნეზე მეტია, რომაელების გაყვანილ გზაზე დადის და რომაულ-ლათინურ ასოებსა და რომაულ სამართალს იყენებს. აქ კი იგივე 30 საუკუნეზე მეტია, გადათხლებვამდე სმის, მუცლის ამოყორვის და ვიღაც თავისნაირ, ხანჯალზე შემთხვევით ნამოგებული ლოთის შიგანში ტრიალის გარდა, იგივე 30 საუკუნის განმავლობაში, თავი მხოლოდ იმით გამოვიჩინეთ, რომ ვიღაც, სახლიდან გამოყრილმა, გზააბნეულმა და შეშინებულმა ბერძენმა მეკობრეებმა, როგორც ბოლო გომიებს, ისე აგვახიეს ოქროს სანმისი საკუთარი უდიდესი და უმდიდრესი კოლხეთის სამეფოდან და თან, ისე უბრალოდ, „ფიქრი გასართველად“ ჩვენი ატროვებული პრინციესა შედეგად გააყოლეს ხელს, შეგვიცდინეს და... როგორც იმ კოლხეთის შთამომავლები იტყოდნენ ათასწლეულების შემდეგ, ყოველისფერი სიკეთე და ფხოდი დამართეს ჩქიმ პატენი... იმ რომაელების გაყვანილი გზებით კი ორმოცდაათი წლის წინ გამოშვებული, დამოლილი და უკვე აკვამლებული „OPEL-Astra“-ები ჩამოჰყავთ, რომ ორ გროზად გაყიდონ და საკუთარი ქალაქი, შვილები და შვილიშვილები გამონაბოლქვით დაწამლონ; იმ დარჩენილი კაპიკებით, ან თუნდაც ვალისგან მორჩენილი ფულით კი ისევ რეჟულზე გამოიღებონ.

გიო ისევ ტუალეტის კართან იდგა და ცდილობდა, ყელთან მომდგარი უკან ჩაებრუნებინა. იდგა ასე გაჯგომიული, სასიკვდილოდ გამზადებული უკანასკნელი მოპიკანინით და ცოცხალი თავით გმირულად არ ნებდებოდა ყელთან მომდგარ ზიდების სპაზმებს. ბოლოს მობეზრდა, თან გაახსენდა, რომ არავინ უყურებდა, ანუ მისი მესამე სტადიის შერცხვინის — რწყევის — მომსწრე ვერავინ იქნებოდა, აბაზანაში შევიდა და შევებით ამოისუნთქა. მისდა საბედნიეროდ, გიორგი

ცოტას ჭამდა. სუფრასთან კი, დაღვეისას, საერთოდ არ ჭამდა. ასე რომ, ახლაც იოლად გადარჩა. მეტიც, იმდენი მოახერხა, რომ მთელი ეს ოპერაცია უხმაუროდ ჩაატარა და თავისი გამზრდელი ნუნუა მიდა, ნუნუკა, რომელიც სულ რაღაც 15 წლით იყო მასზე უფროსი, არ გააღვიძა. ამის გამო მისთვის განკუთვნილმა ამაღამდეღმა საყვედურებმა სულ ცოტა დილისთვის გადაინია. ამიტომ გიოც შედარებით მშვიდად შებარბაცდა თავის საძინებელში და კომპარებით აღსავსე საწოლში თავით ჩაემხო. ამ გაუთავებელ გიჟურ სმას ერთი უპირატესობა მაინც ჰქონდა, იმდენად აუტანელი და ბუნი სიმთვრალე სჭირდა, რომ თვით კომპარული სიზმრები, მაქციები და ტროლებიც კი უკან იხევდნენ ამ დროს და ნაკლებად ანუხებდნენ, ან მხოლოდ ის ნაკლები შენუხება ახსოვდა, რაც პრინციპში ერთი და იგივე იყო.



ბეკა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები

ანუ დეშთი-ყიფჩალი

გიორგი ასათიანი ობოლი იყო. მამამისი მისსავე დაბადების დღეზე გარდაიცვალა. დიდუბის ხიდზე საჭესთან მჯდომს ინსულტი დაემართა და დამთავრდა. ორი საათით ადრე კი გიო, რომელიც იმ დღეს 17 წლის გახდა, მეგობრებთან ერთად ომში გაიპარა, რომელიც არავინ იცის, რატომ დაიწყო იმ ზაფხულს, 14 აგვისტოს, მათ დიდ და დედამიწერილ მეზობელთან — რუსებთან — ან კვლავ როდის განახლდებოდა. მამამისს არც გაუგია, რომ მისი გამხდარი, აყლაყულა შვილი, რომელსაც წვერი მხოლოდ ახლა ელანდებოდა სახეზე, თავისნაირ ლანირაკ კლასელებთან ერთად ახლად გათავისუფლებული და იქვე სასწრაფო წესით გაგიჟებული და განარკომანებული სამშობლოს დასახსნელად წავიდა, სრულიად დარწმუნებული, რომ როგორც სციპიონ აფრიკელი კართაგენს, ისე დაამხოდა ამ ბოზიშვილ და ჯოჯოხეთის ცეცხლივით წითელ რუსეთის იმპერიას. გარდაცვლილ მამას მანქანის საბარგულში პროდუქტები დარჩა. უნდოდა, როგორც ყოველთვის, თავისი ბიჭისთვის დაბადების დღე გადაეხადა და ჯერ კიდევ წერეთლის პროსპექტზე ვერც წარმოიდგენდა, რომ ველარასდროს ნახავდა შვილს. მერე ერთი კვირა ესვენა დიდ ოთახში, ვიდრე მამიდამისმა მთელი თავდაცვის სამინისტრო, გვარდია და მხედრონი არ შეაწირა, არ იოვა, უკან არ ჩამოიყვანა და შუქჩამქრალ სახლში, მუქ ნაბლისფერ კუბოში, გრძლად გამოტილი და უცნაურად ფერუცვლელი, მძინარესავით მამა არ დაახვედრა.

დედა არ ყოფილა. მშობლები გამორეულნი იყვნენ. მამის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე გიორგის დედა, რომელ-

იც ცნობილი რეჟისორი იყო, გერმანიაში მიიწვიეს რუდოლფ შტაინერის ფილოსოფიურ სწავლებაზე — ანტროფოსოფიაზე — დოკუმენტური ფილმის გადასაღებად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქ უკვე ყველაფერი ირეოდა, ის მოდა სროლა. ცხინვალში ნამდვილი ომი დაიწყო. პირველი რუსეთ-საქართველოს ომი საბჭოთა კავშირის შემდეგ. ყველა ერთმანეთს იყო დარეული. გაჩნდა რიგები პურზე. გიო და ბიჭები უზნიდან, რიგებში დგომა რომ ეზარებოდათ, პავლოვზე პურის ქარხანას ესხმოდნენ თავს, თუმცა უფრო თავგადასავალი იზიდავდათ, ვიდრე პურის დარღვევა. სულ უფრო და უფრო ხშირად ქრებოდა შუქი. ვისაც საშუალება ჰქონდა, თუ მთელი ოჯახებით ვერ ახერხებდა, შვილებს მაინც უშვებდა ევროპაში. გიორგის დედამაც დიდი სიხარულით მიიღო წინადადება გერმანიიდან, სტაცა თავის გაგანია გარდატეხის ასაკში

ისე კაი ჯანიანი გოგო კი იყო და სასონარკვეთილი სთხოვდა მის ოჯახს. ანლაც დატვილი ველურ კავკასიელ ბიჭს, რომელიც ისეთი არაცივილიზებული იყო, რომ მაყვალს პირდაპირ წყვეტდა და ჭამდა და სახლშიც ჭიქას პირდაპირ ონკანს უშვებდა წყლის დასალევად და ისიც კი არ იცოდა, რომ ონკანში, ბუნებრივია, შხამიანი და მოწამლული წყალი მოდიოდა, რომლითაც მხოლოდ ჭურჭლის გარეცხვა შეიძლებოდა — მეტი ასე ნულარ მოიქცევი, თორემ მოკვდები... და ისევ გამწარებული ეცა ტუჩებში მის მიერ მტანჯველი სიკვდილისგან სასწაულით დასხნილ გიორგის. შემდეგი ეთნოკოლოგიური მამინ მოუვიდათ, როდესაც იტალიურ პიცერიაში გიორგიმ სრულიად დაუფიქრებლად და გაუცნობიერებლად ორივეს ფული გადაიხადა. ზიკკიმ ჯერ იფიქრა, რომ მისი ბარბაროსი ბიჭი ყველა სიკეთესთან ერთად ციფრებს ვერ ცნობდა და ამიტომ გადაიხადა ორჯერ მეტი, მერე როდესაც მიხვდა, რაშიც იყო საქმე, გვარიანი სცენები მოაწყო — რა წესიაო... ალაღად დაბნეული გიო თავისი დამტვრეული გერმანული სრულიად გულწრფელად იმართლებდა თავს — აბა, რა უნდა მექნა, ბოიშვილი ვიყო, გოგოს ხომ არ გადავახდევინებ, ტოო, მაგრა ტეხავს, ეგეთი თავის მოჭრა ვის გაუგონიაო?!

„ყველამ თავისი უნდა გადაიხადოს, ყველა ჩვენ-ჩვენსას ვიხდით აქ, ან წინასწარ ვუთანხმდებით ერთმანეთს, სადმე როცა მივიღვართ, თანხებს როგორ გავანაწილებთ!“ „აუუ, თქვე გომიებო!“ — ასევე გულწრფელად გაიფიქრა გიომ, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. ჯერ თავისი გერმანული იმედი არ ჰქონდა, ასეთი ღრმა ეთნოფსიქოლოგიური ნიუანსების გასარკვევად და მერეც, ზიკკი მართლაც ძალიან ლამაზი და მაგარი გოგო იყო და ერთი მართლა ხარჯთაღრიცხვის, ბულალტერიის და სუ ყველაფერის ძაან მოსაწყენი დედაც არ რო?!

გიოს აქეთ ჰქონდა თავისი წილი შოკი. ერთ მშვენიერ დღესაც ზიკკიმ თავისი მშობლების გასაცნობად წაიყვანა. ზიკკის მამაც ანტროფოსოფოსი იყო, თან პასტორი — ჰერ დიტერ ბუხოლდც. დედამისი კი პასტორის ცოლი, ფოფოდია და დიასახლისი. პასტორი, როგორც მერე აღმოჩნდა, თბილისში ნამყოფი იყო, ქართველი დისიდენტებსაც იცნობდა, მათთან მეგობრობდა, თუმცა ქართული ეროვნული მოძრაობიდან ძირითადად სუფრა დაამახსოვრდა აურაცხელი საჭმელ-სასმელით. უამრავს სვამდნენ და სადღეგრძელოებს თქმას აიძულებდნენ, რის შემდეგაც, როგორც წესი, აღარაფერი ახსოვდა საწყალ პასტორს. თუმცა პირველი შოკი ეგ არ იყო, ყოველ შემთხვევაში, გიორგისთვის და არც ის, სახლში შევიდნენ თუ არა, მთელს კედელზე, აი, დასავლეთ საქართველოს ტრადიციების საუკეთესოდ დაცვით, მთელს კედელზე SS-ის მუხარადაინი და „Schmaiser“ შემართული გერმანული გრუპენშტურმანფიურერი დახვდათ. ეს მამაჩემიაო, წარუდგინა პასტორმა, სტალინგრადის ბრძოლაში დაიღუპაო. მოკლედ, ქუჩაში მაყვალი რომ არ აჭამა, რა წესიაო, ამ ზიკკის პაპა თუ ბაბუა იყო, ის სტალინგრადში გმირულად დაბრუნებული გრუპენშტურმანფიურერი და ახლაც ისე უყურებდა ფოტოდან გიოს თვალებში — აი, ახლა ამ სურათში არ ვიყო გამომწყვდეული, რას მიგახვრეტდი, შე ლანირაკოო. კარგი, ეგეც რა შოკი იყო, ვის არ უომია და არ მიუხვრეტია, ერთი რუსების დედაც, მაგათი სტალინგრადისაც და იმ ქართველების ნაბიჭვარი სტალინისაც.

ნამდვილი შოკი სუფრა იყო. დასხდნენ, გიოც დასვეს, ერთი სუფრის ხელა თეთრი, ქათქათა გახამებული ხელსახოცები დაიფინეს, ერთმანეთს ხელები ჩაკიდეს, ამ გიორგისაც მათ შორის, და ილოცეს. ეგეც არ იკმარეს და იმღერეს კიდევ. მერე გაშალეს სუფრა, რა გინდა, სულო და გულო, მოხრაკული სტაფილო, ჩამუშული კიტრი, ბოლოკის სალათა და თითო ნაჭერი შემწვარი ყაბაყიც არ აკლდათ. იჯდა მშვიდი გიო, რომელიც საქართველოდ მიადით არასოდეს გამოიჩინოდა, ზავშვობაში კი ისეთი უჭმელი იყო, სტუმარი რომ არ მოეწონებოდა — ამას აჭამეთო, ამბობდა — ჭამა სასჯელი ეგონა, ახლა კი აქ ლეჭავდა მის ულუფა ერთ ნაჭერ, სანახევროდ მზესუმზირით ამოვსებულ პურს ამ საზეიმო სუფრაზე, უმწიერა აფახულებ-



**დალილა
ბედიანიძე**

რა ლამაზია სანთელი, იწვის და უერთდება მარადისობას. ალვათა შორის უალვესი ცას სწვდება უფოთლო რტოებით და ფეხის წვერებზე დგება, რათა უფალს დაენახვოს და მიეახლოს. ალვის ხეები მოჰგვანან სანთლებს ღვთაებრივ ცაში და მათი შუქი ერთვის მზის შუქს მზიან ღამეში.

გადაყვითლდა არემარე, შემოდგომა შემოვიდა. წვიმა უკაკუნებს კარებს თბილი და წმინდათანმინდა.

ოქტომბერი მიილია, ნოემბერი ჯერ წინ არის. ზეცა ჯერ ღიაა, ღია და ბეჭედი მოჩანს მთვარის.

მზე გულივით ფეთქავს, ფეთქავს და გალობა აღმოხდება. რამდენი რამ მსურდა მეთქვა, შემოდგომა მიმიხვდება.

და ილევა წელიწადი, იანვრამდე რალა დარჩა! ლექსაობით ეს დრო გადის, მინას ეფინება ფარჩა.

ახლოვდება მიძინება, მშვენიერი მოჩანს მთვარე და მზე ზღვაში იძირება და ასპარეზს უთმობს მთვარეს.

ხვალ

ხვალინდელი დღის იმედით ცვხოვრობ, ჩამოილია დღე დღევანდელი. გალობს თავზემით ვარსკვლავთა ქარი, გალობს შანდალში ხვალის სანთელი.

ღმერთმა ქნას, ხვალე დღევანდელს სჯობდეს, ღმერთმა ქნას, ცაზე გამეფდეს დარი. და ქარი ახალ დღეებზე ბჭობდეს და დარიანი გვქონდეს ზამთარიც.

სიცოცხლე ხვალის ლოდინში გადის, ხვალე უამრავ იმედებს უდრის. გაივლის ალბათ ეს წელიწადიც და ნურაფერი გვხვდომოდეს ცუდი!

ხვალინდელი დღის იმედით ვსუნთქავ, ბედნიერება ხვალის ხვედრია. ხვალის იმედი, როგორც ბრძენს უთქვამს, ნუ მოგვიშალოს, მისახვედრია.

ნუ იქნები კაენის შვილი, ნუ მიბაძავ კაენს! ნუ აღმართავ ხელს საკუთარ ერთადერთ ძმაზე! შური ცოდვაა და ძმის მკვლელობაც დიდი ცოდვაა. განიწმინდე ლოცვით და მარხვით და განაძვე შენგან ეშმაკი, დასაბამი ყოველგვარი ბოროტებისა. ნუ იქნები კაენის შვილი! ნუ მიბაძავ ეშმაკულს, უსმინე უფალს! უსმინე უფალს, რომელიც გკითხავს. „კაენ, სად არის ძმა შენი აბელ?“ უპასუხე: „აქ არის, ჩემთან და ცოცხალია!“

დღეებს სიტყვებისგან დაწნული ბოლტით ხარებივით მივერეკები. ირგვლივ ხეების სიმღერა ისმის, გაზაფხულზე რომ აღმოხდებათ ტკივილისგან გამსკდარ კვირტებს. არსად არ მეჩქარება და ვტკბები გზით, რომელსაც საით მივყავარ, არ ვიცი და როდის მივალ, არც ის ვიცი, არც ის ვიცი, რით დამთავრდება ეს ყველაფერი. მიყვარს ჩემი საქმე — მესიტყვება და მიყვარს ხეების საქმე-სიმღერა, რომელიც მარადიულია და რომელსაც მსმენელი არ აკლია — ჩემთან ერთად მთელი ტყე ისმენს და ბანს ეუბნება.

ქარო, მიბოძე ფრთები, რომ მეც ავიდე ცაში! ვთრთი, ვკანკალებ და ვკრთები შენს წინ მე, როგორც ბავშვი.

რა ლამაზია დილა, რა ლამაზია ღამე! ცა როგორ მოწმენდილა, სხივები წვიმას სვამენ.

ბედნიერება მერგო დასაპყრობ ზეცის ხილვით და ჩემი ალტერ-ეგო — ციმციმებს ნათლის სხივი.

მე ვუერთდები ზეცას, ქარო, მიბოძე ფრთები! ღრუბლები აიკეცა და მთვრალი მზის ქვეშ ვთბები.

ქარო, მიბოძე ფრთები და შემრთე ზეცის წრიალს! ნუ მებრძვი გააფთრებით — ცაა ჩემთვისაც ღია.

ცეცხლს რომ ვუყურებ, მცია-ყინულს ვუყურებ — ვთბები. მინას აღმოხდა თივა, თივამ შემოსა მთები.

ჩიტს ვუყურებ და ვხარობ, და თევზებს დავდევი ცურვით. იხარე, უფლის თვალი — მისრულებ ყველა სურვილს!

სიცოცხლე მიხარია და ველტვი ზეცის თალებს და ჰოი, რა ხანია ცის კარს დალილი ვაღებ.

მშვენიერია ზეცა — სასუფეველი სულთა. მზეს თმები მოეკეცვა, როს ქარმა იწყო სუნთქვა.

ცეცხლს ვუყურებ და მცია, ყინულს ვუყურებ — ვთბები. ვარსკვლავი აიძივა, ვუმზერ, ვტკბები და ვტკბები.

ხეებს ფოთლები სცვივა, დროს — წლები. ფრიალებენ ხეებზე ნისლის ბაირაღები და ზანზარებენ ზეცის თალები.

წვიმას მზე მოსდევს და შიგადაშიგ თოვლიც ურევია და ზოგჯერ ფიფქები ულევია. ხეებს ფოთლები სცვივა, დროს — წლები. თაობას თაობა ცვლის და სიკვდილს — დაბადება. წამსვლელი მიდის, მომსვლელი მოდის და ყველას თავისი ტვირთი აქვს, რომლის ტარებაშიც ქარები ეხმარებიან. ქარი ხომ ტვირთს უმსუბუქებს ადამიანს, განსაკუთრებით — ზურგის ქარი... ხეებს ფოთლები სცვივა, დროს — წლები. ქარები მიდი-მოდიან და მღერაინ მშვენიერ ჯადოსნურ ზღაპრებს, რომლებშიც ზღაპრის გმირი უკვდავია და უკვდავია ის, ვინც დროსა და ქარებს წინ უძღვის თავისი სიტყვებით და თაობიდან თაობას გადაეცემა მისი სახელი, როგორც სათაური ამ ცხოვრების ამბისა.

მე ვამბობ პაროლს „გალაკტიონი“ და პოეზიის მეღება კარი. გულადნი, როგორც ამფიტრიონი, გარეთ გრიალებს თებერვლის ქარი.

და ნახირივით მივერეკები სამწყემსავ სიტყვებს იალაღებზე; როგორც ოდესლაც შმაგი ლეკები, მე ძვირფას ნადავლს ტყე-ტყე დავეძებ.

ბედნიერი ვარ, რადგან მაქვს ძალა, რათა მოვიგო სიტყვით მარულა, რადგანაც ჩემთვის დღეს მოიცალა ღმერთმა, ღრმა ცაში რომ მიმაღულა.

ათასი სიტყვა, ათასი ჯილდო მებოძა მისგან და ვარ მდიდარი. და ძალმიძს სიტყვებს რომ შევეჭიდო და დავამარცხო ავი პირქარი.

მე ვამბობ პაროლს და სასწაული ხდება, ავდივარ მაღლა და მაღლა და დალილ მინას მკერდს რომ ავუვლი, არ შემეტყობა ფრენაში დაღლა.

ალვის ხეები

ალვის ხეები მოჰგვანან სანთლებს, ანთებულ სანთლებს ეკლესიის წმინდა შანდლებში და სანთლების მცხუნვარე ალში იბადებიან ოცნებები სამოთხეში და საუკუნო ცხოვრებაზე. მე მწამს, მე მჯერა, ვენდობი უფალს. ალვის ხეებს ფოთლები სცვივა, სანთლებს — ცრემლები და სანთლის ალიც ნელ-ნელა ქრება, თითქოს მზეთუნახავმა კაბა გაიხადო.

მივერეკები დღეებს
და გამოუცნობი მომავალი არ მაშინებს —
ყველაფერი ღვთის ნებაა
და რაც იქნება, იქნება!
არ შემიძლია დღეები შევაჩერო.

ღმერთო, ცოტაც მაცადე,
ღმერთო, ცოტაც მადროვე,
ბოროტისგან დამცალე,
ღმერთო, ნუ მიმატოვებ!

სინანულის ცრემლები
მე ბევრჯერ დამიღვრია
და ხატს ირგვლივ ვეველები,
ვით რტოს დაჰფრენს ნიბლია.

მთელი გულით ვლოცულობ,
პირჯვარს ვინერ ხშირ-ხშირად.
მთვარევე, ნისლით მოცული,
ღამე შენს წინ მიქმინავს.

და დღე მარადიული
ჩემს სულს დაუფლებია.
ნათელია ღვთიური,
გალმა რწმენის მთებია.

მოყვასის სიყვარულით
გაჯერება მადროვე.
არ მქმნა ხელმოცარული,
ღმერთო, ნუ მიმატოვებ!

ქოლგა

მადლობა ქოლგას,
რომელიც წვიმისგან გვიფარავს,
რომელიც მწველი მზისგან გვიფარავს
და რომელიც მუდამ მზადაა გვემსახუროს.
მადლობა ქოლგას,
რომელიც გასაჭირში გვიფარავს
და ხელში გვიყვავის
და ჩვენსა და ცას შორის ტრიალებს.
მადლობა ქოლგას,
რომელსაც კარგ ამინდში ვერ ვამჩნევთ
და ცუდ ამინდში კი ჩვენი მხსნელია.
მადლობა ქოლგას,
რომელსაც ნდობით შევეფარებით
და რომელიც ჩვენს მაგივრად სველდება,
ჩვენს მაგივრად ხუნდება.
მადლობა ქოლგას,
რომელიც მოთმინებით გველოდება.
სანამ გავიხსენებდეთ და გავშლიდეთ.
მადლობა ქოლგას,
რომელიც ჩვენი პატარა სამოთხის მცველია,
მადლობა ქოლგას!

მოულოდნელად მოვიდა წვიმა
და დამისველა ახალი კაბა.
ასეთი წვიმა არ მახსოვს წინათ,
მოვიდა სწრაფად, წავიდა სწრაფად.

სულში კი წვიმა ისევ გრძელდება,
კოკისპირული დიან წვიმები.
წვიმა ღვინდება, წვიმა ბრძენდება,
დავალ წვიმის ქვეშ და ვილიმები.

წვიმის სიმძიმით ვარ თავდახრილი,
ქარის ნამგალი ამ წვიმას ცელავს.
სიკვდილის წვიმის მესმის ძახილი —
მარტოდენ გრიგალს თუ ძალუძს შველა.

ციკლიდან „ლაქსაპი მაქსა“

ისეთი მოულოდნელი იყო ჩვენი შეხვედრა,
როგორც ხეების აყვავება
ნათლისღების ყინვაში.
ისეთი მოულოდნელი იყო ჩვენი განშორება,
როგორც თოვლის პეკლებით ფიფქები
აგვისტოს ხვატში.
ისე დაიწყო ჩვენი სიყვარული,
როგორც წყაროს ამოხეთქვა
კლდის ქვემოდას.
ისე დამთავრდა ჩვენი სიყვარული,
როგორც მდინარე უერთდება ზღვას
და უკვალოდ იკარგება.
და მაინც გიგონებ და გიგონებ
და ისე გამოგიგონე,
რომ არ შემშლია არცერთი ხაზი
და ისე ვტრიალებ შენს ირგვლივ,
როგორც დედამინა ტრიალებს
თავისი ღერძის გარშემო.

ბექა ქურხული
თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები
ანუ დემთი-ყიფჩალი

გაგრძელება

— შენ კი იეჭვიანებდი, — გიოს გულიანად გაეცინა.
— ძალით განვალებდი, რომ გეტერა, — ნუნუკამ ყავა
დაუდგა წინ, ისევ სამზარეულოს სკამზე მოირთხა ფეხი
და ხალათის კალთა ფეხებს შუა ჩაიკეცა.

— მტირალა ვიყავი?
— არაა, საერთოდ არ იყავი მტირალა. საშინლად
განვალებდი, შენს მშობლებს რომ დაენახათ, იქვე მო-
მკლავდნენ, მაგარი სადისტკა ვიყავი, მაგრამ მაინც არ
ტიროდი. ბავშვობიდან ცხოველივით გამძლე იყავი,
Зверёныш такой!.. თან უსაყვარლესი გაბრაზება იცოდი.
მიბრუნდებოდი და „არ უკაჩ!“ არ მიყვარხარო, ამბობდი.
ერთხელ აივანზე გახვედი და ბავშვებს ეძახდი ეზოში —
იცით, არსებობს არ არსებობსო.

— აუჰ, რა ლეტნად ვყოფილვარ ბავშვობიდან...
— არა, ლეტნად მერე გახდი. სადღაც 11-12 წლის მერე.
მანამდე იჯექი და ხატავდი. რატომღაც, სხვა ბავშვები-
სგან განსხვავებით, დაბეჭდილ ფურცლებზე არასდროს
ხატავდი, მხოლოდ წინ და მარტო მანქანებს. მერე მეც
გიჟივით შემეყვარა. ერთი სული მქონდა, სკოლიდან
მოვბრუნებულიყავი და ლოგინში ჩაგხტომოდი. რომ
გავთხოვდი, ჩვენი სახლიდან მარტო შენ მენატრებოდი,
სხვა არავინ. იცი, როგორი სიცილი იცოდი? მეზობლები
შენი სიცილის მოსასმენად შემოდოდნენ. რომ იცინოდი,
ოთახი თითქოს მოჭიკჭიკე ჩიტებით გაივსო.

— კაი, ტოო, ამირყყდა გული, — გიოს მობეზრდა. თან
კარგა ხანია, ველარანაირ კავშირს ვეღარ ამყარებდა იმ
მოჭიკჭიკე ბავშვთან, ერთ დროს თვითონ რომ იყო.

— ერთხელ კიდევ დანერე: „მზე, ტახი, ყვავილი და
მეორე მზე დაძმობილდნენო.“

— ავანგარდისტი!.. — ცალყბად იხუმრა გიომ.

— მერე, 12 წლის მერე, ძალიან შეიცვალე. ხანდახან
ისევ ისეთი ხარ, როგორც ბავშვობაში, თბილი, კეთილი,
გულადი და ერთგული. ძალიან საიმედო იყავი ბავშვო-
ბიდან. ხანდახან კი თითქოს რაღაც საღებავი გადაგასხ-
ნო, საშინელი უფერო საღებავი და საშინ ჩემს მტერს!.. —
ნუნუკა ყურადღებით უყურებდა, — მგონი, გარდატეხის
ასაკი გაგირთულდა. თან ყველაფერი შენ დაგემთხვა,
მშობლების გამორება, ომი, და გამხეცდი. ყველა ეგრე
ხარო თქვენს თაობაში... განარკოვანდით, გალოთდით,
გაიუბედურეთ თავი. საკუთარი სიფხიზლის გემინიათ,
სულ სადღაც მიძვრებით.

გიოს მობეზრდა. ყოველთვის აღიზიანებდა ასეთი
დამოკიდებულება და ლაპარაკი. გააღიზიანა ფადიშაჰი-
ვით თავზე პირსახოცს შემოხორბლილმა და ხალათში გამოს-
ვეულმა მამიდამისმა, რომელიც ასე ადვილად ლაპარა-
კობდა გიორგისთვის ძალიან მტკივნეულ საკითხზე. საერ-
თოდ, აცოფებდა ეს კატეგორიული რეჩიტატივები მასზე
და მის თაობაზე, ასე იოლად მიკრული იდიოტური იარ-
ღიყვით, რაც ასე მოდაში იყო წინათ და ახლა კიდევ
უფრო მიღებული გახდა, არც წინა და არც მომდევნო
თაობა არ იშურებდა მათთვის ამ დამღებს: ნარკომანები,
მკვლელები, მარგინალები, ბნელები, ხელმოცარულები,
ლუზერები. თითქოს მათი ბრალი იყო, ჯერ კიდევ პირ-
შიშველა, გულბრწყვილო, გულანთებული ბავშვები ბო-
ლომდე რომ გაიმეტეს. თითქოს მათ, 16-20 წლის ბიჭებმა,
პირდაპირ სკოლის ან პირველი კურსის მერხებიდან დაი-
წყეს ეს საშინელი და სისხლისმღვრელი ომები. ყველაზე
ხმამალა კი სწორედ ისინი განიკითხავდნენ და
აყვედრიდნენ, ვინც სინამდვილეში დაიწყო ეს სისხლიანი
კომშარი. ვინც ბოლომდე გაიმეტა, აომა, ამოხოცა, ან ვისი
გულგრილი და უტყვი თანხმობითაც მოხდა ეს ყვე-
ლაფერი. მერე კი ამ ბოზიშვილმა პოლიტიკოსებმა მათვე
დაანმინდეს ხელები და სტახანოვური მონდომებით აა-
მუშავეს საბჭოთა უშიშროებაში დამხეცებული შავი პი-
არი. ნატი რა, თქვენი ბოზი დედებსაც... ყველა ნასედვის
და ბოზის!.. ყველა ნაბიჭვრის!..

— ე, მოიცა! — გიო მამიდამისს ცუდად დაფარული
გაბრაზებით მიუბრუნდა, — აი, ახლა რომ დავიბრიდო,
აი, დღეს, აი, ამ წუთას, არც ერთი ეგ შენი სიტბოები, ლაჟ-
ვარდები ან ჭიკჭიკები აღარ დაგრჩება ჩემგან?

ნუნუკა გაფითრდა. გულით ელაპარაკებოდა და უყვე-
ბოდა მის ბავშვობაზე, რაც სულ უფრო და უფრო იშვიათ-
ად ხდებოდა და ახლა მართლა ეწყინა.

— იცი რა, ხანდახან ვნანობ ომიდან რომ მოგაბრუნე.
იქ ადამიანივით მაინც მოკვდებოდი, აქ კი ჩემს თვალწინ
სალახანასავით ცხოვრობ და იღუპები.

— აბა? — გახალისდა გიორგი, — რამდენი ხნის გა-
მოგლოვილი გეყოლებოდი — „Вдова и мამида герои!“
და რამე. დავიბრიდებოდი „კალაშნიკოვით“ ხელში და
„რეიზანი“ სახეზე 17 წლისა, ჩემი მზიური, აწყვეტილი
და ამოწყვეტილი სამშობლოსათვის. მიუვიდოდი „მამა-
პაპათა ამოღებულის ხანჯრითა...“ დამხვდებოდნენ საი-
ქიოში ქართველი გმირები. ვერც ამდენი ცოდვებისა და
საშინელების ჩადენას მოვასწრებდი. თუმცა მე მაგის ბედი
ვინ მომცა, ნორმალურად დავბრედოლიყავი. ან ნაღმზე
ავინეოდი და ფეხებწაწყვეტილს ინვალიდის ეტლით
მაკატავებდნენ, ან ტყვედ ჩავვარდებოდი და რუსები დიდ
თანგირა ქვაბში ჩამხრაკავდნენ — იმ თქვენი პეპი მაღალ-
წინდას და შემდეგ კი გრძელწინდასი არ იყოს — სტავო-



ლოს გარეშე და იქნებოდა მერე — „კიდევ მიმართვით
ალუდას წვენ-ხორცი გაცხელებული.“

ალფოთებული ნუნუკა მამიდა სამზარეულოს სკამი-
დან ნამოხტა...

— კაი ხო, რა იყო, გეხუმრე, — გაიცინა გიომ.

— გადი რა! — ხელი აუკრა ნუნუკამ, ხალათი გაიფრი-
ალა და სამზარეულოდან გავიდა, — და საერთოდ, მოიყ-
ვანე ცოლი და მომწყდი თავიდან.

— რაღაც ძალიან ადვილად მიმორებ თავიდან, — ისევ
გაეცინა გიოს, — უნდა უსტვინო, ნუნუკა, უნდა უსტვი-
ნო!..

— რაა? — დაიბნა ნუნუკა.

— ჰემინგუეი ამბობდა — მამაჩემმა მასწავლა, როცა
რამე გეტკინება, როცა რამე აუტანლად გტკივა, უნდა
უსტვინო. მეც, როცა რამე მტკიოდა, ვუსტვენდი, იტალ-
იის ფრონტზე რომ დავიჭერი და ავსტრიულმა შრაპნელ-
მა დამაფარცხავა, მაშინაც ვუსტვენდიო... შენც უნდა
უსტვინო.

— გიო, შენ მართლა აღარ გიყვარვარ, საერთოდ აღარ
მიფრთხილდები და აღარ გიყვარვარ.

გიოს გული მოეწურა. მის წინ მაგარი და გამოსული
ნუნუკა კი არა, თითქმის შიშველი, მხრებზე ჩამოცურე-
ბული პირსახოცით, ხვეული აჩენილი თმებით და თვალბ-
ში ჩამდგარი ცრემლებით მისი ოჯახის ერთადერთი
ცოცხლად გადარჩენილი ნევრი, მამამისის და იდეა, თავი-
სი მკვდარი ძმით, თვითმკვლელი ქმრით, ვიღაც მეტ-ნაკ-
ლებად გამოსირებული აქა-იქა ნაბიჭვრებით და საშინ-
ლად გულნატკენი იყო.

გიო მივიდა, რომ ჩახუტებოდა. ნუნუკამ ხელი ჰკრა.

— მომშორდი რა! — თავის ოთახში შევიდა და კარი
მიუხურა.

— მიყვარხარ, ნუნუკა, როგორ არ მიყვარხარ?! —
მიაძახა პათეტიკურად ნუნუ მამიდას კარს უცნაურად
ეგზალტირებულმა და აჟიტირებულმა გიორგიმ, — კი
მიყვარხარ. როგორც საკუთარი მომტვრეული ხელი,
რომელიც ისე გტკივა და გტეხავს, რომ ღამე აღარ
გაძინებს. ისე მიყვარხარ, როგორც იარაღი, შუა სროლა-
ში რომ გაგიჭედავს და გალიმებულს დაგტოვებს. მიყვარხ-
არ, როგორც ჩემი ყველაზე საუკეთესო ჩხუბებამოვ-
ლილი, ნაკუნ-ნაკუნქცეული პერანგი, რომელსაც ვედ-
არასდროს ჩაიცვამ. მიყვარხარ, როგორც ძმაკაცი,
რომელთან ერთადაც გაიზარდე და რომელიც აღარ არის
შენი ძმაკაცი და ერთ ბირჟაზეც ტყუილად, ინერციით,
უფრო სწორედ, იმის გამო დგახარო, რომ ყოველთვის ასე
იდექით, ბავშვობიდან, მთელი ცხოვრება. თუმცა უკვე
დიდი ხანია, აღარაფერი გესაქმებთ აღარც ბირჟასთან
და აღარც ერთმანეთთან. მიყვარხარ, როგორც ბავშვო-
ბა, რომელიც სადღაც დარჩა და როგორც ის წელი, როდე-
საც 17 წლის ვიყავი, ან 19-ის და რომელიც აღარასოდეს
მომბრუნდება და განმეორდება. მიყვარხარ, როგორც „პეპი
მაღალწინდა“, რომელსაც ველარასოდეს ნავიკითხავ-
ახლა კი ნავედი, ნავედი, ნავედი, ავოიეე, ნავედიო!..

ცოტა ხანს ამ დრამატული მონოლოგის შემდეგ სი-
ჩუმე ჩამოვარდა.

— სად მიდიხარ? — გაისმა კარს იქიდან ნუნუკას
შემკრთალი ხმა.

— გარეთ.
— სად მიდიხარ? თან ასეთი მშვიერი, სად მიდიხარ,
გიო? ვის უნდა მიადგე?..

— გარეთ, — მხიარულად უპასუხა გიორგიმ დაკეტილ
კარს. თან ჩაბნელებულ კორიდორში ქურთუქს ეძებდა,
— გარეთ ყველაფერი იშოვება. გარეთს უნდა მივადგე!
— როგორც იქნა, იპოვა ქურთუქი.

— გიო, სად მიდიხარ?
— ცოლის მოსაყვანად. ცოლის — გამათავისუფლე-
ბლის, — კარი გამოაღო, — შენ კიდევ ჩაიცვი მართლა,
და თმა დაივარცხნე. რას ჰგავხარ?!

— არ დალიო! აღარ დალიო... სირცხვილია უკვე!
მოკვდები, შე უბედურო!

გიომ ლიფტის ლილაკს თითი მიაჭირა.

„ნატი თქვენი!..“ — გაიფიქრა შვებით, — „ნატი თქვე-
ნი... ყველასი...“

მანანა ყიფიანი



კიდევ ერთხელ პრომეთესა და ამირანზე

პირველი, რაც გაფიქრდება პრომეთესა და ამირანზე საუბრისას, მათი შედარებითი დახასიათებაა — რით ჰგავნან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან? ორივე კავკასიის ქედზეა მიჯაჭვული და ორივეს გულ-მკერდს მტაცებელი ფრინველი უკორტნის, ორივე გმინავს და ორივეს ახსნას სულმოუთქმელად ელიან იქით ელინები და აქეთ ქართველები. თუმცა ბერძნებმა ეს ნატვრა აისრულეს და პრომეთე ჰერაკლეს, მართალია, გვიან, 30 000 წლის შემდეგ, მაგრამ მაინც გაათავისუფლებინეს. ჩვენი ამირანი კი დღემდე გმინავს და დღემდე ნატვრად აქვს ქართველს მისი გათავისუფლება — „მოვა დრო და თავს აიხსნის, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულად შეგვეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“. ქართველმა კაცმა ისე გაითავისა ამირანის ტანჯვა, ისე ამიბა თავისი ისტორიული ბედი ამირანის ხვედრს, რომ მასთან ერთად გაეკრა კავკასიის ქედზე და დღემდე აკორტინებს თავს ყვავ-ყორნებს.

ხომ არ შეიძლება საბედისწეროდ ვცდებოდეთ? ასეთი რამ ტყუილბრალად არ ხდება!

ცხადია, ამირანი და პრომეთე ერთი და იგივე პიროვნებაა. ჩნდება კითხვა, რომელია უფრო ძველი — ამირანის მითი თუ პრომეთესი? იმ გმირს თავდაპირველად ამირანი ერქვა თუ პრომეთე? რა თქმა უნდა, ჩვენ და ბერძნები ამ საკითხში ვერ შევთანხმდებით. პრომეთეს მითის უძველეს ვარიანტებში პრომეთე თურმე ზევსის ქალს — ათინას — ჰყვარობდა და ეს სიყვარული ცალმხრივი არ ყოფილა. ამიტომ დაუსჯია იგი ზევსს. ეტყობა ბერძნული მითის სიუჟეტში ათინასთან პრომეთეს სიყვარულს იმგვარივე ადგილი ეჭირა, როგორც ჩვენთან ამირანისა და ყამარის მიჯნურობას. გარდა ამისა, კავკასიონის მთებს ძველი ბერძნების ერთი ნაწილი ამირანტებს უწოდებდა, ანუ იმ მთას, რომელსაც ქართველებმა ამირანის მთა შეარქვეს. მთების ეს სახელწოდებაც „ამირანტები“ ამირანის სახელს უტრიალებს; ამკარად დანიშნულებული ვართ ბერძნებთან შედარებით, ეტყობა, ამირანი ერქვა იმ პირველ გმირს.

მოგვიანებით ბერძნებმა პრომეთეს სახეს საკაცობრიო დანიშნულება მოუძებნეს — პრომეთემ ოლიმპოს მკვიდრთ ცეცხლი მოსტაცა, ადამიანებს გადასცა და ამიტომ დასაჯა ზევსმაო. რა იყო ეს ცეცხლი? მატერიალური ცეცხლი იყო, მანამდე ადამიანებს რომ არ ენახათ და პრომეთემ ანახა პირველად, თუ სხვა რამ საკარალური. პრომეთეს არა მარტო ზეციდან ცეცხლის მოტაცებას, არამედ ადამიანთა მოდგმის შექმნასაც მიაწერენ.

სულ უხსოვარ დროში კი პრომეთეს მითში მოტაცებული ცეცხლის ხსენებაც არ იყო, მაგრამ შემდგომ, როდესაც ბერძნულმა ცივილიზაციამ ეთნოგრაფიულ პერიოდში ადგროვლი მასალის დახარჯვა დაიწყო, პრომეთეს სახეს სულ სხვა დანიშნულება გამოუძებნა, იგი კაცობრიობისთვის დამაშვრალ ტიტანად აქცია, მის სახეს საკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭა. ამგვარად, პრომეთეს კანონიკური სახე ორ წყაროზე — ჰესიოდეს (VIII ძვ. წ.) „თეოგონიასა“ და ესქილეს (VI-III ძვ.წ.) „მი-

ჯაჭვულ პრომეთეზე“ ჩამოყალიბდა. ამ ნაწარმოებებში პრომეთე წარმოდგენილია როგორც ღმერთი, რომელმაც ადამიანები თიხისგან შექმნა და რომელმაც ადამიანები კულტურას აზიარა. ამიტომ არის იგი სახელდებული კულტუროგენის ღმერთად. ესქილეს მიხედვით, პრომეთემ არა მარტო ცეცხლი მოუტანა ადამიანებს, არამედ ასწავლა სახლების შენება, მიწის დამუშავება, მეტალის მოპოვება, ზღვაზე ხომალდებით გადაადგილება, მისცა დამწერლობა, ასწავლა ანგარიში, ვარსკვლავებზე დაკვირვება და ასე შემდეგ. ესქილესთან პრომეთე ადამიანური ცივილიზაციის შემქმნელია.

ერთი ელინი ფილოსოფოსი, ცინიკოსთა სკოლის წარმომადგენელი, ანტისთენე (444-368 ძვ. წ.), რომელიც ადამიანთა ხსნას ზნეობრივ ცხოვრებაში ხედავდა და ადამიანს ბუნების ნიაღში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა - ადამიანი ბუნებაში იშვა და ბუნებაშივე უნდა დარჩეს, ქალაქის ცხოვრება და კულტურა რყვის მასო (ასე რომ, ამ იდეის პირველობა სულაც არ ეკუთვნის ფრანგ განმანათლებელ ჟან-ჟაკ რუსოს) — მიიჩნევდა, რომ პრომეთე ზევსმა ადამიანის სიყვარულით და კეთილისმყოფლობის გამო კი არ დასაჯა, არამედ იმიტომ, რომ მან ადამიანებში კულტურა და ხრწნა შეიტანაო. ანტისთენე პრომეთეს სახის გააზრებისას სწორედ ესქილეს პრომეთეს ეყრდნობოდა.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, როგორ შეიქმნა ადამიანი და როგორ გამოავლდა კაცთა მოდგმა დედამიწაზე; ამდენად, ტიტანის როლი ამ საქმეში ზედმეტია. ამ მიმართულებით პრომეთეს სახე საინტერესო არ არის. ჩვენს ამირანს ამდენ სირთულეებს არ მიაწერენ. ერთი კია, ერთნაირი გმირები ერთნაირი ხვედრითა და თავგადასავლით სხვადასხვა სივრცეში ერთდროულად არ ჩნდებიან. ამკარაა, ამ მითმა ერთი ფიზიკური ძალით გამორჩეული პიროვნების ასევე გამორჩეული გმირობები შემოინახა. ეს ამბები ყველას თვალსა და ყურს ერთნაირად მისწავდა. ამ გმირის მიერ სასურველი ქალის მოტაცებაც რეალური იქნებოდა და მისთვის თავს დატეხილი სასჯელიც. მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, რომელიც ამ მითმა სხვადასხვა ხალხის თქმულებაში განიცადა (მარტო ამირანის ქართულმა თქმულებამ ქვეყნის კუთხე-კუნჭულის მიხედვით უამრავი ვერსია იცის) უცვლელი დარჩა სასჯელის მოტივი — უზენაესის ურჩობა და სასჯელის სახეობა — კავკასიის ქედზე მიჯაჭვა და გულ-ღვიძლის მკორტნავი მტაცებელი ფრინველი. ეს ამბავი სადღაც ერთ ადგილას მოხდა და იმ ერთი ადგილიდან წამოიღეს ხალხებმა. ეს კი მხოლოდ ბაბილონის გოდლის დარღვევის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო. ბიბლიის მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მითიური ზევსის წინასახე ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი შვილია, ქამის, შთამომავალი, გმირი ნებროთია; ვინ იცის... ნებროთმა უამრავ ხალხსა და ტომს მოუყარა თავი და მბრძანებლად დაუდგა. ბერძნული მითი პრომეთეს ტიტან იაპეტის შვილად წარმოადგენს. იაპეტი — იგივე ბიბლიური იაფეტი, ნოეს შვილი და ნებროთის შორეული ბიძაა. რა რეალური ბრძოლები აისახა

ზევისსა და ტიტანების ბრძოლებში? იქნებ სწორედ იაფეტისა და ქამის შთამომავლებს შორის მიმდინარე მრავალწლიანი დაპირისპირებანი? ნებროთი აიძულებდა ყველას, მონანიელობა მიელო ბაბილონის გოდლის შენებაში. ყველა დაიმორჩილა, გარდა სემის შთამომავალი ებერის ტომისა; იგი გაერიდა ნებროთს, ყველა ბოროტების სათავეს, და ცალკე დასახლდა. სწორედ ებერის ნიაღიდან გამოვიდა მამამთავარი აბრაამი და კვლავ აღადგინა ღვთის შვილთა მოდგმა „თესლითი თესლამდე“. იქნებ პრომეთეს, იაფეტის შთამომავალს, ფიზიკური ძალითა და გონებით გამორჩეულ ტიტანური აღნაგობის ადამიანს (ნებროთიც ტიტანური აღნაგობის იყო), სწორედ ნებროთთან ჰქონდა დაპირისპირება, თუნდაც სიყვარულის მოტივით, რის გამოც უბოროტესმა ნებროთმა სასტიკად დასაჯა იგი; რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდებია; ერთი კია, სადღაც ერთი ძალზე შთამბეჭდავი ამბავი მოხდა, რომელიც ადამიანების ცნობიერებაში ცოცხლად შემოინახა; შემდგომ იქცა ეს ამბავი მითად, ხოლო როგორც მითმა უკვე ცვლილებანი ცალკეული ეთნოსის ფსიქოტიპის მიხედვით განიცადა. თუ პრომეთე ბერძენი კაცის ბუნების ანასხლეთია, ამირანი აშკარად ქართველი კაცის თვისებებს ატარებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრომეთესა და ამირანის მითში საერთოა სასჯელის მოტივი — უზენაესის ურჩობა და სასჯელის სახეობა — კლდეზე მიჯაჭვა. ბერძნებმა პრომეთეს მითი მკვეთრად შეცვალეს. ზევსისადმი ურჩობით, ცეცხლის მოტაცებით პრომეთე თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად, ადამიანებისა და მათი კულტურის შემოქმედად, ღვთისმბრძოლად და მრავალმონამედ აქციეს. მთავარია, აუფანყედ უმაღლეს არსებას, დაუპირისპირდე მის გულქვაობას და კაცობრიობის საკეთილდღეოდ იღვანო და რაც მთავარია, ეს კაცობრიობა დაარწმუნო შენს მოწამეობრივ ღვანლში. ამ გზაზე ნილოს, შეიძლება ითქვას, ხარბად დაეწაფა ევროპული კულტურა. პრომეთე იქცა ყველაზე პოპულარულ მხატვრულ სახედ; სახედ, რომელშიც აშკარად დაცემული ანგელოზის ბიოგრაფია აირეკლა. პირველი ადამიანების ცოდვითდღემის საბედისწერო აქტს წინ დაცემული ანგელოზის სისინი უძღოდა — თუ ადამიანები აკრძალული ხიდან ნაყოფს იგემებდნენ, კეთილისა და ბოროტის გარჩევას ისწავლიდნენ, ჭეშმარიტ ბედნიერებას მოიპოვებდნენ და ღმერთებზე იცხოვრებდნენ.

ამირანის მითი ქართულ კლასიკურ მწერლობას არ უწვალდება, მასში არაფერი შეუცვლია, თუმცა ბერძნების დარად მისი

დემითოლოგიზაცია მოახდინა. მისი ტანჯვა ქართველი ხალხის ტანჯვას დაუკავშირა, მაგრამ ამირანის სახეს ძირეული ცვლილება არ განუცდია. თავად მითი იცვლიდა სახეს მითოსურ და არა ლიტერატურულ დონეზე.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ამირანის მითმა ძირეული ცვლილებები განიცადა. აქ უზენაესი არსება ქრისტი ღმერთი აღმოჩნდა. ამირანი სწორედ მას დაუპირისპირდა, მის წინაშე აღიმალა ხმა; ამირანს ძალაც და სახელიც მისგან ჰქონდა, რადგან, როგორც მითი ამბობს, ქრისტი ღმერთი მისი ნათლია იყო, სწორედ ნათლია გაუსწორდა ნათლულს მკრეხელობისთვის, კლდეზე მიჯაჭვა და მარადიული ტანჯვისთვის არნივი მიუჩინა. აქაც დაცემული ანგელოზის აჩრდილი ილანდება — ამირანი საბრალოა, გმინავს, ქართველი კაცი უთანაგმობს, წყრება მჭედლებზე, არნივზე, თან რა საოცარია, ახალი ბორკილები ამირანისთვის მითის მიხედვით სწორედ დიდ ხუთშაბათს იჭედება, დიდ ხუთშაბათს, საიდუმლო სერობის დღეს, დღეს, როდესაც მაცხოვარმა ყველა ქრისტიანისთვის საღვთო ზიარება დაანება, რითაც ისინი სწორედ უკვდავებას აზიარა; რა შუაშია დიდი ხუთშაბათი კაცის ტანჯვასთან? ვის არ ასვენებს ყველა ქრისტიანისთვის ეს წმიდათაწმიდა დღე? ვინ მიმართა მზერის ისრები უზენაესისკენ და შენც გაგახედა? აქაც იგივე გზავნილია — რა საბრალოა ამირანი და რა შეუბრალებელია უზენაესი. მაგრამ ისრები ისრებად დარჩა და ამ გზავნილმა ჩვენს კულტურულ-სარწმუნოებრივ სივრცეში არ იშუშავა; საოცარი რამ მოხდა. მართალია, ამირანი ქართველ კაცს ებრალება, მისი გათავისუფლება სურს, მაგრამ უზენაესზე არ წყრება, ამირანი უსამართლოდ არ ისჯება, კაცზე უფრო მოწყალე კიდევ ღმერთია, როცა იქნება, ამირანის ტანჯვა დასრულდება, თავისით კი ამირანი ამ ჯაჭვს ვერ გაწყვეტს, იგი ისევ ღმერთმა უნდა ახსნას, მაგრამ სინანულის გარეშე ეს შეუძლებელია. უნდა აპატიო იმას, ვინც პატიებას ითხოვს. ამ ითხოვს ეტყობა პატიებას ამირანი და ამიტომ გმინავს იგი დღემდე. ასე რომ, ამირანი კავკასიის ქედზე მიჯაჭვული რჩება. ქართველმა კაცმა იგი ევროპული კაცის მსგავსად არ გაათავისუფლა (ახსნილი პრომეთე თავისი ღვთისმბრძოლობით დღემდე თელავს ევროპას), ეს მისი საქმე არ არის, ეს ღვთის საქმეა; ქართველი კაცი ისევ ღვთის მოწყალეების მოლოდინშია... ასე რომ, ნუ გავაიგივებთ მანცადადამანც ჩვენს ხვედრს ამირანის ხვედრთან და ნუ მივეჯაჭვებთ მასავით კავკასიონის ქედს ურჩი და უნანელი გმინვით.





კატილიბანსუბილი, ერთგული, უღალატო, უბოროტო, თავდაუზოგავი, უშიშარი — ასეთი იყო ჯუმბერის თითქმის პიროვნული და მოქალაქეობრივი იერსახე. მან ღირსეულად იცხოვრა, იღვანა, იმეგობრა; მრავალჯერ უშურველად და დაუმაღლებლად დაიხარჯა სხვათათვის, მუდამ უანგაროდ მსახურებდა ქართულ ლიტერატურას — როგორც მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, რედაქტორი, საუკეთესო კრებულების შემდგენელი და გამომცემელი.

სიტყვითაც და საქმითაც პატრიოტი იყო. 80-იანი წლების მიწურულს, როცა ყველა თაობა „ბოროტების იმპერიის“ დასამარების იმედით აღვივსეთ, სიამაყით მომხარა: ეს რა „გიჟი ქართველები“ ყოფილან ჩემი შვილები, თამუნა და ლევანი, მხოლოდ ახლა გავიგეო.

ერთი თაობისანი ვიყავით, თანაკურსელები; ასპირანტურაში სწავლაც ერთ დროს მოგვიხდა. შესანიშნავი ხელმძღვანელი ჰყავდა, პროფესორი სერგი დანელია. დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ასპირანტურაზე გული აიცრუა. ეს ერთადერთი მიზეზი არ იყო: ჯუმბერის პიროვნული და შემოქმედებითი ტემპერამენტი, როგორც ჩანს, სკრუპულოზურ მეცნიერულ მუშაობას ვერ ეწყობოდა; დაუოკებელი ენერჯის ბიჭს, ალბათ, ლექტორობის პერსპექტივაც დიდად არ ხიბლავდა.

ნიჭიერ, განათლებულ, ზრდილობითა და პიროვნული ხიბლით გამორჩეულ სტუდენტს უფროს მეგობრად და დამაკვილიანებლად მისივე ლექტორი, არაორდინალური კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე მოევილინა. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ჯუმბერის მეგობრობას წინამორბედ ლიტერატურულ თაობასთან, ეგრეთ წოდებულ „სამოციანელებთან“. ეს ურთიერთობა თავისებური აკადემიაც გახლდათ, ერთგვარი „სკოლა“, რამაც ბევრწილად განსაზღვრა ჯუმბერის მომავალი.

ამგვარი „გაკვეთილების“ არსს რომ ჩავწვდეთ, თვით ჯუმბერის ერთი მოგონება უნდა მოვიშველიოთ: „ცოცხალი შალვა ნუცუბიძე თბილისში პირველად ნოდარ ჩხეიძემ და ვენოი ქვაჩხიამ მაჩვენეს შორიდან. უნივერსიტეტის ბაღში ვიყავით (ისინი ისხდნენ, მე, პირველკურსელი, რასაკვირველია, ფეხზე ვიდექი). ვხედავ, პატარა მონაფეხებით წამოიჭრნენ და გაირინდნენ. ჩვენგან კარგა შორს ჩაიარა მძიმეხელჩანთიანმა კაცმა და, ვიდრე ის კორპუსში შევიდოდა, მითხრეს: შეხედე, შალვა ნუცუბიძე მიდისო“.

ჯუმბერს კიდევ ერთი „აკადემია“ ჰქონდა დამთავრებული: „ვაჟა-ფშაველას კაბინეტის“ დამაარსებლის, პროფესორ გრიგოლ კიკნაძისა.

ფილოლოგიის ფაკულტეტი ისე დავამთავრეთ, რომ გრიგოლ კიკნაძის ლექციების მოსმენა არ გვღირსებოდა. იგი თხემით ტერფამდე დისიდენტი გახლდათ, როგორც „ლიტერატურული“, ისე ზედმინევიანი გაგებით. ამიტომაც არ სწყალობდნენ „ზემოთ“: მისი ლეგენდარული სახელი და უზომო პოპულარობა აღიზიანებდათ. სტუდენტობას კი იშვიათად ეშლება რაიმე, კარგად ვიცოდით, ვინ ვინ იყო! კაბინეტის დაარსებდანვე ჯუმბერი „შინაური კაცი“ (მისივე სიტყვებით) და ბატონი გრიშას მიერ გამორჩეული და ახლობელი პიროვნება შეიქნა.

ჩვენი მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გამყარებასაც, ყველაზე უწინარეს, გრიგოლ კიკნაძის ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციებში — „ვაჟა-ფშაველას ნაკვალავზე“ — მონაწილეობამ შეუწყო ხელი.


ასე მგონია, ვინც მასთან ერთად არ ყოფილა მთაში, მას „წამდელი“ ჯუმბერი არ სცნობია... უპირობო ლიდერი იყო, „პირველი ყოჩი“. ბიჭები დიდი სიყვარულით უთმობდნენ პირველობას. ეს პირველობა კი, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ყველაზე ძნელ და დიდ ტვირთს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) შეეჭიდებოდა, თავს არ იზოგავდა, ღონეც ერჩოდა და გულიც.

ერთი უცნაურობა კი სჭირდა: ჯუმბერი, საოცრად უშიშარი (არანაირ საფრთხეს არ ეშუებოდა) და წინდაუხედავად გაბედული, ვერასგზით დაიყოლიეს, ცხენზე ამხედრებულიყო. მაშინ მე ჩემს სიცოცხლეში პირველად დავჯექი ცხენზე, თანაც ისეთ თვინიერსა და ფრთხილზე, რომ უფსკრულის პირას საცალფეხო ბილიკზე გავლა-

საც არ ვერიდებოდი. ჯუმბერი არც მალავდა, რომ ცხენების გარდა, ძაღლებიც არ ეხატებოდა გულზე. ჰოდა, შედეგმაც არ დააყოვნა: ერთხელაც, როცა იგი თანატოლ ხევსურ ბიჭებთან ერთად გზად მიდიოდა (სულ იოლად გამოიხატავდა ხოლმე საერთო ენას მოხუცთან თუ ახალგაზრდასთან), ხბოსხელა კავკასიურმა ნაგაზმა მაგრად უჭბინა თქოზე. ყველანი გაეშრით, ნაგაზს მწარედ ანანეს სიავე, თუმც მოცინარმა ჯუმბერმა წამსვე დაგვამევიდა ყველანი.

იმ ღამეს კარვებში არ გვიძინებია (თუ არ ვცდები, ხახმატში დაგვიღამდა), მასპინძლებმა ერთი უზარმაზარი ცარიელი ოთახი, სხვენი დაგვიტემეს. დაღლილებს, საძილე ტომრებში გახვეულებს, ყველას ჩაგვეძინა. ფხიზელი ძილი ვიცი და მალე კვენსამ გამომავლიდა, მძინარე ჯუმ-

ლალი ავალიანი ჩვენი მეგობარი ჯუმბერი



ბერი საცოდავად კვენსოდა — „ვაიმე, დედა, ვაიმე, დედა!“ ალბათ მაღალი სიცხეც ჰქონდა.

ღამე თეთრად გავათენე, თანაც ისიც ვიცოდი, რომ დღით ობოლი იყო და მისი „ვაიმე, დედა“ გულს მიკლავდა. ახლად გათენებულზე, როგორც ყოველთვის, ჯუმბერი, ჩემდა გასახარად, ჩიტივით წამოფრინდა; „ღამე ვკვენსოდიო?“ — გაუკვირდა კიდევ.

მისი გამძლეობა გასაოცარი იყო. ერთხელ, დიდ ავდარსა და დელგამში, შუაფხოსკენ მიმავლეთ, ძველი დანჯღრეული ავტობუსი გაგვიფუჭდა. შილიდან ჩაცმული ჯუმბერი პირველი ჩაბტა ავტობუსიდან მძღოლის დასახმარებლად, ერთიანად გაილუმბა, მაგრამ კვლავ ავტობუსისთვის თავის შეფარება არც უცდია. აი, მაშინ კი გადავირიე — რას აკეთებს ეს ბიჭი, ფილტვების ანთება დაემართება-მეთქი და ბატონ გრიშას მივმართე საშველად. ბატონი გრიშა ჯერ ამოად ეშუდარა, მერე დატუქსა კიდევ, ძლივს აიძულა ამოსვლა, ჯუმბერი კი მხოლოდ იცინოდა — არაფერიც არ მომივლია.

ჩვენი თანაკურსელი, შესანიშნავი ლიტერატორი და ფოლკლორისტი, უდროოდ გარდაცვლილი იურა ჯაფარიძე და ჯუმბერი პირველი კურსიდანვე მეგობრობდნენ. ზამთრის არდადეგებზე ზუგდიდში, სახლში ჩასულ ჯუმბერს, მიუხედავად დიდთოვლობისა, დიდხანს არ უფიქრია და იურასთან რაჭაში სტუმრობა განუზრახავს. მერე გვიყვებოდა, ძლივს ჩავალნიე რაჭამდე, იქ წელამდე თოვლში მომიხდა გზის გაკვალვა, იურა კინაღამ გაეჟუდა ჩემს დანახვაზე, როგორ ჩამოხვედი, სახლიდან ვერ გავსულვართ თოვლის შიშითო...

საუკეთესო მთხრობელი, მოსაუბრე და მომლხენი იყო — ამასთან, გოგოებთან, რალაცნაირად, ვაჟკაცურად მორიდებულნი.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციათა მესვეური, დიდი მეცნიერი და დიდებული პედაგოგი გრიგოლ კიკნაძე მის ახალგაზრდულ გარემოცვას თავისებურ ხიბლსა და სხივს გვიწილადებდა.

თითქოს არავინ ჰყავდა გამორჩეული, მაგრამ, ეტყობოდა, გასაჭირში (ასეთი რამ კი ბევრჯერ ყოფილა), უწინარესად ჯუმბერის იმედი ჰქონდა.

ხევსურეთში მოგზაურობისას ჩვენი ძირითადი ბაზა ბარისახოს ზაფხულობით დაცარიელებული სკოლა-ინტერნატი გახლდათ, ზამბარიან საწოლებზე საძილე ტომრები გვეკონდა გაშლილი. ასეთი პირობები მაშინ, როცა სამანქანო გზა დათვის ფერამდეც კი არ იყო, ღამის ხუთ-ვარსკვლავიანი სასტუმროს მაგივრობას სწევდა, სურსათ-სანოვაგე კი ხშირად გველეოდა. ჯუმბერისათვის გადაუჭრელი პრობლემა თითქმის არ არსებობდა: წამოიკიდებდა ზურგზე უშველებელ ზურგჩანთს, არავის გაიყოლებდა და ალაღებებდა შეხვედრილი საბარგო მანქანებით თუ ავტობუსებით დუშეთის ბაზარს მიაშურებდა, იქიდან კი მძიმე ტვირთით ბრუნდებოდა. ერთხელ, დუშეთიდან დაბრუნებულმა შესანიშნავი წიგნიც წამოიყოლა. პლატონის „ნადიმის“ ბაჩანა ბრეგვაძისეული ბრწყინვალე თარგმანი (ჯუმბერის მეგობრებმა ვიცოდით, რა ბიბლიოფილი იყო ბიბლიომანი იყო: საბედნიეროდ, სსრკ-ში წიგნები ჩალის ფასი ღირდა და ჩვენს ჯიბეთხელობასაც მიესადაგებოდა).

ჯუმბერი აღტაცებას ვერ მალავდა, წიგნი ავტობუსშივე წაეკითხა. მისი აღტაცება მალევე გავიზიარეთ, თუმცა თბილისში დაბრუნებულს დიდი იმედგაცრუება გველოდა: კარგი წიგნი თვალისდახამხამებაში ქრებოდა დახლებიდან, მხოლოდ შემთხვევით თუ გადაწყდებოდა.

მაშინ ჯუმბერს არც მე დავავიწყდი (ჩემი დაბადების დღე იყო) და დუშეთშივე წაყიდი ერთი „უიშვიათესი“ წიგნიც მაჩუქა, — „ლუბოკურად“, უხვად დასურათებული საბავშვო მოთხრობა „Ленин в Шушенском“ — წარწერით „შუშუს — შუშუ“. ახლანდელ ბავშვებს, ღვთის მადლით, ლენინის „დამტკბარ-დაშაქრულ“ ყალბ ბიოგრაფიას არ ასწავლიან; არც იცანა შუშენსკოე რა ხილია. მხოლოდ ის მახსოვს, რომ მეფის რუსეთი იქ პოლიტიკურ პატიმრებს ასახლებდა, ხოლო გადასახლებიდან გაქცეული ილიჩი ერთხანს შუშენსკოეში, ისლის ქოხში იმალებოდა.

ასეთი ორიგინალური საჩუქარი არასოდეს მიმიღია. ჯუმბერმა იცოდა, რასაც აკეთებდა, — დავიხოცეთ სიცილით. „შუშუ“ რას ნიშნავდა არ გავიგებოდა. ინტუიციამ თუ არ მიღალატა, მეგრულად რაღაც „შერეკის“ მსგავსი უნდა ყოფილიყო. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერცერთ ლექსიკონში ვერ აღმოვაჩინე ეს სიტყვა. მერე ვფიქრობდი, რომ ჯუმბერის „სიტყვათქმნადობის“ ნაყოფი იყო, ვითომცდა ნეოლოგიზმი — შუშენსკოეს მიბაძვით. სულ ახლახანს გავიგე, რომ გუსმანა არ მიმტყუნა: თურმე მეგრულ ენასა და იმერულ დიალექტზე „შუშუ“ „მოსულელოს“ ნიშნავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნმა დიდი ფურორი მოახდინა; იყო 1964 წელი, „დათბობის“ შემდეგ კვლავ გამძვინვარებული ტოტალიტარის პერიოდი. ახლანდელ ნეოლიბერალებს, მარტოოდენ „მონსტრების კორპორაცია“ რომ გვისახავენ საბჭოთა პერიოდის ქართველობას და განურჩევლად ყველას „ჰომო სოვიეტისის“ იარლიყს ანებებენ, თითქოს სათვალავიდან გამორჩათ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ჩვენც, რასაკვირველია, ამ „ნაწილს“ მივეკუთვნებოდით. მთაში მოგზაურობა და, ზოგადად მთის სიყვარული, ჩემი აზრით, თავისუფლებისაკენ სწრაფვაც უნდა ყოფილიყო: იქ ნაკლებად იგრძნობოდა რეჟიმის „ხიბლი“. ამის დასტურად არხოტში ყოფნის ერთ ეპიზოდს მოვიხსენებ: ამღამი ჩასულელებს, იქაურებისაგან ქართველურად პატივცემებს და კარგად გამოიხიზნებულელებს, მეორე დღეს ჯუმბერმა სოფლისაგან კარგად მოშორებული ამლის სახატის ნახვა შეგვათავაზა. ბიჭებმა იუარეს, ნაბახუსევები იყვნენ, მხოლოდ

ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მეცნიერ-თანამშრომელ ნანი წერეთელს და მე გავგზავნიდა ამის სურვილი.

გზა აგვებნა და ცივ და ღრმა (წელამდე) პატარა მდინარის პირას აღმოვჩნდით. საოცრად ღონიერმა ჯუმბერმა ტომარასავით მომიგდო ზურგზე და გაღმა გამიყვანა. ნანიმ, რომელიც ჩემგან განსხვავებით, ალპინადებზეც მრავალგზის იყო ნამყოფი, ითაკილა, მაგრამ სწრაფ დინებას მარტომ ვერ შეებდა და ჯუმბერმა ხელჩაჭიდებული გამოიყვანა. მცირე ხნის შემდეგ უკაცრიელ სახატესაც მივადექით, ჯიქურ დავადეთ თავი და სამივენი შინ შევედით, დავათვალერეთ შესანიშნავი — ულამაზესი ვერცხლის ნაკეთობანი (რასაკვირველია, მათთვის ადგილიც კი არ შეგვიცვლია). სად იყო და სად არა, შუახნის ხევსური წამოგვადგა თავზე (ანკი როგორ დაგვიანხა), სტუმარმასპინძლობის წესს არ უღალატა, თუმცა მაინც მკვახედ აგვიხსნა, რომ ქალების ადგილი იქ არ იყო (რაც ისედაც ვიცოდით). ჯუმბერმა, მეგრული ზრდილობით და ჩვენი ექსპედიციის მიზნის გაცნობით (ვაჟა-ფშაველას სახელი „პაროლივით“ ჭრიდა თუშ-ფშავ-ხევსურეთში), მალევე მოიგო მისი გული. სახატესთან შორიასლოდ მყოფებს არხოტონმა თავადვე გამოგვიტანა გერმანელი მწერლის ალფრედ კურელას (რომლის ტრაგიკულად დაღუპული მეუღლის ელფრიდე კურელასეული საფლავი რამდენიმე დღის წინ მოვიინახულეთ თარხის გზაზე) შესანიშნავი ვერცხლის თასი რუსული წარწერითურთ, ისიც დასძინა, რომ კურელა ახალ ცოლთან ერთად იყო ჩამოსული ელფრიდეს საფლავის მოსახულებლად. მანვე გავგინია მეგზურობა (ყინულივით ცივი მდინარე აღარ შეგვხვედრია) და უფათურაოდ დაგვარბუნა ამღამი. ჯუმბერი და ხევსური საუბარ-საუბარში დანაწარუნდნენ, ნანი და მე მორჩილად მივყვებოდით უკან. მოგვიანებით ჯუმბერმა სიცილით გავგანდო: ასე მითხრა, შენ რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, რას დადიხარ ამ გოგოებთან ერთად, ესენი ალბათ კომკავშირლებიც კი იქნებიანო! ესეც შენი „ჰომო სოვიეტისის“ ხევსური — კომკავშირობა სათაკილოდ რომ მიანჩნდა!

ჯუმბერი და მე თითქმის ნახევარი საუკუნე ვმეგობრობდით, წლობით რომ არ გვეხანა ერთმანეთი, ჩვენს ურთიერთობაში მაინც არაფერი შეიცვლებოდა.

დიდი ხნის წინ, ერთი ფრაზა ჰქონდა ამოჩემებული — „მილიონი გოგო მყვარებიაო“ — თუმც მისმა დაქალებმა კარგად ვიცოდით, რომ ერთადერთი, ჩვენზე უმცროსი მშვენიერი გოგონა უყვარდა, მისი საცოლე და შემდეგი მეუღლე — დოლო აბშილავა. სამაგალითო ოჯახი შექმნეს და საამაყო შვილებიც გაზარდეს, ამას შვილიშვილების დაბადებით გამონვეული დიდი სიხარულიც დაერთო.

ჯუმბერი, მოუსვენარი და საოცრად აქტიური, ბოლო წლებში დღეიდანვე სანერ მაგიდასთან იყო მიჯაჭვული. თვითკმაყოფილება და მცონარობა სრულიად უცხო იყო მისთვის. ყველაფერი, რაც თავს გადაგვხდა ბოლო ათწლეულებში, გულთან ახლოს მიჰქონდა. დიდ ეიფორიას იმედგაცრუებაც დიდი მოჰყვა. მწერლობის პრესტიჟი უსამართლოდ შეილახა, ყოფითი კულტურა დაკნინდა, ტრადიციული ქართული უფროსმეცროსობა „გაუქმდა“, ასაკობრივი ცენზის დანესება შეურაცხყოფელი აღმოჩნდა უფროსი თაობებისათვის, მასკულტურის ლავამ ჭეშმარიტი ლიტერატურისა და ხელოვნების სარბიელი ერთობ შეავიწროვა. ამაზე ხშირად გვისაუბრია და სრული თანამოაზრენიც გახლდით. ძლიერ აღელვებდა შემოქმედებითი ინტელიგენციის, განსაკუთრებით მწერლების ბედი; ის რომ გლობალიზაციის უპირობო გაფეხილება, შესაძლოა, სავალალოდ მოვლენოდა საქართველოს კულტურულ თვითმყოფობას.

საბედნიეროდ, სწორედ მისი ოჯახი აღმოჩნდა თაობათა ერთობის საუკეთესო მოდელი; სწორედ მან შეაძლიერა ჯუმბერს უკანასკნელი ბრწყინვალე ჩანაფიქრის განხორციელება — უკვე კლასიკოსად ქცეული რეზო ინანიშვილის ნიგნებისა და კრებულ „დაგვიანებული რეკვიემის“ გამოცემა — მიძღვნილი განსვენებული მწერლის 80 წლისთავისადმი.

2019 წლის 20 თებერვალს ჯუმბერს 80 წელი შეუსრულდებოდა.



ტომას ვულფი მოხადა შენს სახლს, ანგელოზო

ფრაგმენტი რომანიდან

უვლიდა. დემონური ხმები, მშვენიერი, ნამძინარევი და იმავდრულად ხმამალალი ჰანგები უხმობდა წყვილიდან და ნათელში ზემოდან, და თანდათან, ძაფის გორგალივით შლიდა ძველისძველ მოგონებებს.

ბრმასავით ბარბაცებდა ქათქათა, ელვარე შუქში, ძილით დამძიმებულ თვალებს ნელა ახელდა, თითქოს ახლად დაიბადა, ჭიპლარი გადაუჭრეს და წყვილიდან მოჰკვეთეს.

გაიღვიძე, ოღონდ წყვილიდან გაიღვიძე, აჩრდილებს მიყურადებულო ბიჭო. გაიღვიძე, ჰოი, ჩვენში ჩასახლებულო ლანდო. სცადე, სცადე, ოჰ, სცადე ეს გზა. გახსენ სინათლის კედელი. აჩრდილი, აჩრდილი, ვინ არის აჩრდილი? ჰოი, დაკარგულო. ჰოი, ჩურჩულით სიცილო. იუჯინ! იუჯინ! აქეთ, ჰეი, აქეთ, იუჯინ. აქეთ, იუჯინ. გზა აქეთაა, იუჯინ. დაგავინყდა? ფოთოლი, კლდე, სინათლის კედელი. ასნიე, კლდე, იუჯინ, ფოთოლი, ქვა, კარი, რომელსაც ვერ მივაგვინთ. დაბრუნდი. დაბრუნდი.

ხმა, ძილ-უცნაური ხმამალალი, მუდამ ახლო-შორი, ლაპარაკობდა.

იუჯინ! ხმა ლაპარაკობდა, ჩუმდებოდა, უსიტყვოდ განაგრძობდა ლაპარაკს. მის სულში ლაპარაკობდა. სადაც წყვილიდან სინათლეა, შვილო. სცადე, ნაცნობი სიტყვის გახსენება, ბიჭო. დასაბამიდან იყო ლოგოსი? ზღვარს იქით უსაზღვრო მწვანე-ტყიანი მიწა. გუშინ, გახსოვს?

შორ-ტყიანი, საყვირისხმიანი ჭრილობა. ზღვა-ტყიანი, შორ-წყლიანი მარჯნის მტევნებიანი შორ-ზღვიანი საყვირისხმა. გრძელ-სახიანი, ბოთლის-მწვანე ტანსაცმლიანი ქალბატონების რწევა უნააგირზე. ქალთევები, ქერცლშემოცლილი, კობტად ზღვის-ფსკერის კოლონადებში. კლდის ქვეშ დამალული მიწა. მოფარფარე ტყის-გოგონები ხის ქერქში რომ ჩაიზრდებიან. როცა იღვიძებდა, სულ უფრო და უფრო კლებულობდა მათი ვედრების ხმა, შორ-სუსტი. მერე უფრო მძლავრი სიმღერა, დემონ-ყელის, ქარ-სამოსით. ძმაო, ჰოი, ძმაო! სიბნელის ზღვარზე ჩაიქროლებდნენ ქვემოთ, ტყეებივით ქარს გაყოლილნი. ჰოი, დაკარგულო, ქარისგან გამოგლოვილო აჩრდილო, დაგვიბრუნდი.

ჩაიცვამდა და წყნარად ჩაივლიდა კიბეს უკანა პარმალისკენ. ვარსკვლავების ლურჯი შუქით გაჯერებული, გრილი ჰაერი უეცრად დაუვლიდა სხეულში და გამოაფხიზლებდა, მაგრამ მდუმარე ქუჩებით ქალაქისკენ მიმავალს, ყურებში უცნაური, დაჟინებული რეკვა ჩაესმოდა. საკუთარი აჩრდილივით უსმენდა თავის ფეხისხმას, რომელიც შორიდან, ქუჩა-ლაპარაკობდა.

მათხუთმეტი წელიწადში გადამდგარი იუჯინი უკვე ორი წელი ლეონარდის სკოლის მოსწავლე იყო, ბენმა სამსახური უშოვნა — გაზეთების დამტარებლად დაანყებინა მუშაობა. ელიზა ბუზლუნებდა, ბიჭი ზარმაცობსო. ჩიოდა, სულ არ მეხმარებო. სინამდვილეში იუჯინი ზარმაცი არ იყო, მაგრამ სძულდა პანსიონის უღიმღამო ყოველდღიურობა. ელიზა ბევრს არაფერს მოითხოვდა, თუმცა ხშირად და მოულოდნელად აძლევდა დავალებებს. ბიჭს თრგუნავდა დიქსილენდში უსარგებლო ფაციფუცი, მთელი დღის ნაშრომი საღამოს რომ გამქრალი იყო. თუკი ელიზა ადგილს მიუჩენდა და გარკვეულ საქმეს ჩააბარებდა, გულმოდგინედ შეასრულებდა. მაგრამ ქალი თვითონაც არეულად ირჯებოდა: უნდოდა, იუჯინი მუდამ გვერდით ჰყოლოდა შემთხვევითი დავალებების შესასრულებლად; მათი ინტერესები განსხვავდებოდა.

დიქსილენდი ელიზას ცხოვრების აზრი იყო. იგი აქაურობას ეკუთვნოდა. აქაურობა ამინებდა. იუჯინს მალაზიაში რომ გაგზავნიდა პურზე, ბიჭი ნაღვლიანად ფიქრობდა, პურს უცხოები შეჭამენ, ჩვენს ცხოვრებაში კი ამ ფაციფუცით არაფერი შეიცვლება, არ გაუმჯობესდება, არ გალამაზდება, ყველაფერს წყალი ჩარეცხავსო. დედამისი ბაღში, გაუვალ ბარდნარში აგზავნიდა გასამარგლად — გაბურღული სარევეები ლამის ახრჩობდა ბოსტნეულს, რომელიც ისე გამალებით იფურჩქნებოდა, როგორც ყველაფერი მიწაზე, რასაც ელიზა სასხვათაშორისოდ შეახებდა ხელს. ბიჭი დამქანცველი გაშმაგებით ჩეხავდა და იცოდა, რომ ამ მხურვალე, აქოთებულ მზისგულზე სარევეები ისე გაიბურღებოდა, რომ ეს ბოსტნეული — გინდ გაემარგლა და გინდ არა — ბარაქიანად გაიზრდებოდა, მდგმურებს გამოკვებავდა, და რომ ელიზას, მხოლოდ ელიზას ცხოვრება გაუძლებდა ამ ამოცბას. დედამისის შემხედვარე გრძობდა დროის დაღვრემილობასა და საშინელებას: მის გარდა ყველაფერი უნდა მომკვდარიყო სულისშემხუთველ სარგასოში. ჰოდა, მთვრალივით ატრიალებდა ბელტებს, მერე უეცრად გონს მოიყვანდა ქალის ყურისნამდები ყვირილი პარმალიდან, და მიხვდებოდა, რომ საბოლოოდ გაანადგურა რიგში ჩამწკრივებული ნორჩი, სალი სიმინდი.

— რა არის, ბიჭო, ეგ რა გიქნია! — გაჯავრებული დაჰქოთქოთებდა ზემოდან, თაროებივით ახორხლილი ტაშტების, გასაშრობად გაკიდებული, გაქუცული ნინდების, რძის ცარიელი, დაბურული, გაურეცხავი ბოთლებისა და ერბოს ჟანგის ვედროების უკან გადმოდგარი ელიზა.

— გეფიცებ რა! — მიუბრუნდა ჰატისბერგელ ბამბეულით მოვაჭრეს, მისტერ ბასკეტს, რომელიც სიცილისგან ციებ-

ანივით თახთახებდა გაბურძნულ ულვაშებში, — რა უნდა ვუყო?

— ჰო, — გადაიხედა მისტერ ბასკეტმა, — სარევეები ისევე ისე დაუტოვებია. ორი თვე ფერმაში ყოფნა წაგადგობდა, ბიჭო, — დასძინა წინდახედულად.

ჩემს მოტანილ პურს უცხოები შეჭამენ. ნახშირი მომაქვს, შეშას ვჩეხავ, ცეცხლი რომ დაუუნთო და გავათბო. კვამლი. Fumus fumus! ჩვენი ცხოვრება კვამლად მიიწვეს მალა. არავითარი ფორმა, არავითარი შემოქმედება, დაბურულ სიზმარშიც ვერ ვნახავთ. დაბლა დაეშვი, ანგელოზო; ყურში ჩაგჭურჩულე. კვამლს გავყვებით და კვამლივით გავქრებით, გუშინდელი ჯაფის სანაცვლოდ დღეს აღარაფერი შეგვრჩენია, დალილობის გარდა. როგორ ვიხსნათ თავი?

ზანგების უბანი მისცეს — ყველაზე ძნელი და ნაკლებ მომგებიანი მარშრუტი. კვირაში ორ ცენტს უხდიდნენ ყოველკვირეული გაზეთის დარიგებისთვის, ათ პროცენტს — კვირის განმავლობაში დარიგებული გაზეთებიდან და ათ ცენტს — ყოველი ახალი ხელმოწერიდან. ასე რომ, კვირაში ოთხი-ხუთი დოლარი გამოსდიოდა. მისი გამხდარი, სუსტი სხეული დაოუკებელი წყურვილით ენაფებოდა ძილს, მაგრამ ახლა აუცილებლად გათენებამდე უნდა ამდგარიყო, ოთხის ნახევარზე, ეჩვენებოდა, რომ სიბნელე და სიჩუმე უგუგუნებდა დაბანგულ ყურებში.

ფლეიტის უცნაური, ეფემერული მუსიკა იღვრებოდა წყვილიდან, მერე ნელ-ნელა გაღვიძებულ გრძობებს სიმფონიური ორკესტრის დიადი ტალღები გადა-



ონების ციმციმა ელვარების მიღმა გაისმოდა, ზღვა-ჩაძირული თვალებით უმზერდა ქალაქს.

მის გულში აჟღერებული საზეიმო მუსიკა ავსებდა დედამიწას, ჰაერს, სამყაროს; ხმამალალი არ იყო, მაგრამ ყველაფერს მოიცავდა და ელაპარაკებოდა — სიკვდილსა და წყვილზე, ველზე თავმოყრილი იმ ადამიანების ჯადოსნურ მსვლელობაზე, ვინც ცხოვრობდა ან უცხოვრია. ქვეყნიერება საკვებ იყო მდუმარედ მიმავალი ადამიანებით: სიტყვაც არ ითქმოდა, მაგრამ თითოეული გულში ინახავდა საყოველთაო ცოდნას, დავიწყებულ სიტყვას, რომელიც ყველამ იცოდა, დაკარგულ გასაღებს სატუსაღის ჭიშკრის გასახსნელად, ბილიკის-ბოლოს ზეცისკენ, და როცა მუსიკა ლივლივით აავსებდა, ბიჭი წამოიძახებდა: „გავისხენებ. იმ ადგილას რომ მივალ, ვიცნობ.“

შუქის ცხელი, მღვრიე ზოლები იღვრებოდა რედაქციის კარებიდან და ფანჯრებიდან. ქვემოთ, სტამბიდან, დიდი პრესის ღრიალი თანდათან მატულობდა, სანამ უკიდურეს სიმძლავრეს არ მიაღწევდა. რედაქციაში შესულმა ღრმად ჩაისუნთქა ლითონისა და მელნის თბილი ტალღებით გაჟღერებული ჰაერი და უეცრად გაიღვიძა, მსუბუქ-გაბრუნებული კიდურები მოულოდნელად გაუმავრდა, თითქოს რაღაც ეფემერული, მოტივტივე წამიერად გამყარდა სულის დედამიწასთან შეხებისას. შიკრიკები ხმაურიან რიგში იცდიდნენ, დისპეტჩერის მაგიდასთან იყრიდნენ თავს და რაც მოაგროვებს, აბარებდნენ — ჰემ-ჰემით აპირექვავებდნენ მაგიდაზე გახეხილულ ხურდას. მწვანეაბაჟურიანი სანათის შუქზე მენეჯერი სწრაფად გადაავლებდა თვალს მათ ნიგნაკებს, მაჩვენებლებს შეჯამებდა, გადათვლიდა თხუთმეტ, ათ და ხუთცენტიანებს და უჯრაში პატარა დანაყოფებში დაანანილებდა. მერე თითოეულს დაჩხაპნილ ორდერს მისცემდა დილის სამუშაოსთვის.

მწვერებივით მონადინებულები ჩაირბენდნენ კიბეს, ერთი სული ჰქონდათ, როდის გაცივდებოდნენ გარეთ, თავ-თავიანთ ფურცლებს აჩვენებდნენ პირქუშ დისპეტჩერს, რომელიც შავ თითებს აკურატულად დაახტუნებდა მოზრდილი შეკვრის გახევებულ კიდზე. ორ-ორი „დამატებითის“ ალების უფლებას აძლევდათ. თუ შიკრიკი წესიერებას არ დაგიდევდათ, უფრო მეტი ეგზემპლარების ალებასაც ახერხებდა — თავის ნიგნაკში ნახევარი დუჟინი ყოფილი ხელმომწერების გვარები ჰქონდა შემონახული. ამ ზედმეტ ეგზემპლარებს მშვენივრად იყენებდნენ — ხან ყავისა და ღვეზელის სანაცვლოდ უტოვებდნენ სასაუზმის დახლიდარს, ხან ძღვნად მიართმევდნენ „შინაურ“ პოლიციელს, მეხანძრეს ან მემანქანს.

სტამბის საამქროში ჰარი ტაგმენი მათ თვალწინ ჩამყუდროებულიყო და მუქთახორობდა, ბოლქვებად უშვებდა ნესტოებიდან სიგარეტის კვამლის მსხვილ ჭავლს. პროფესიული დაუდევრობით გახედა პრესს, ღონიერ შეკვრებზე სქელი ხალხი ბუჩქივით უჩანდა მუქ ლაქად ოფლიან-სველი პერანგ-ქვეშა მასისურში. მბეჭდავის თანაშემწე მკვირცხლად დაძვრებოდა აღრიალებულ დგუშებსა და ცილინდრებს შორის, ხელში ზეთის-ქილა და ძონძების შეკვრა ეჭირა. ცილინდრიდან ატყორცნილი თეთრი ქაღალდის ფართო მდინარე ეშვებოდა მექანიზმის დამასახიჩრებელ ქაოსში, საიდანაც წამის შემდეგ გამოდიოდა — დაჭრილი, დაბეჭდილი, დაკეცილი, გროვებად დალაგებული და ხის ღარზე მოზრდილ შეკვრად გასრიალდებოდა ასობით სხვა ფურცელთა ერთად.

მანქანა-ჯადოქრობა! ადამიანები რატომ არა — ვგრე? ექიმი, ქირურგი, პოეტი, მღვდელი — შეკრული, დაკეცილი, დაბეჭდილი.

ჰარი ტაგმენმა მედიდური გამომეტყველებით მოისროლა სიგარეტის



სველი ნაშენი. შიკრიკები მონივნებით შესცქეროდნენ. ერთხელ ერთ ხელქვეით სტამბის მუშას ნაშრომთაქა, ჩემს სკამზე ნუ ზიხარო. უფროსი იყო. კვირაში 55 დოლარს იღებდა. რამე თუ არ მოეწონებოდა, ნებისმიერ დროს იშოვნებდა სამსახურს „ნიუ ორლეანს თაიმზ-პიკინში“, „ლუსვილ კურიერ ჯორნალში“, „ატლანტა ქონსთითიუშენში“, „ნიქსვილ სენთინელში“, „ნორფოლკ პაილოთში“. იმოგზაურებდა.

ნუთიც და ქუჩაში გამოიშალნენ, სწრაფად მიკვანჭალობდნენ გატენილი ტილოს ჩანთებით დამძიმებულები.

სასონარკვევით ემინოდა მარცხის. მოჭმუხნული სახით უსმენდა ელიზას დარიგებებს.

— გასწორდი, ბიჭო! გასწორდი! იფიქრონ, ესაა, ვინცააო!

თავდაჯერება აკლდა; წინასწარ თავზარს სცემდა სამსახურიდან დათხოვნისას შურადაცხყოფაზე ფიქრი. ემინოდა ბასრ-მჭრელი ენის, საკუთარი სიამაყის პირისპირ დამფრთხალი უკან იხევდა.

სამი დილა დაჰყვებოდა გადამდგარ შიკრიკს, დაძაბული ცდილობდა ყურადღების მოკრებას და გაზეთების დასარიგებლად დადგენილი მარშრუტების დამახსოვრებას, ისევე და ისევე გაივლიდა ზანგების უბნის დაქსელილ ლაბირინთს, საკუთარ გეგმას მორგებდა ტალახისა და ლორწოს მორღვეულ ქაოსს, კაშკაშა წერტილებით მონიშნავდა იმ სახლებს, სადაც გაზეთი უნდა მიეტანა და გონებიდან იშორებდა დანარჩენ შენობებს. ნლებს შემდეგ, სიბნელეში განმარტობულს, როცა დაინახებდა შიკრიკს აქაურობის დახლართული ანარქია, ისევე გაახსენდა კუთხე, სადაც ჩანთა დატოვა, სანამ მთის წვერზე აცოცდებოდა; ციცაბო ფერდობი, სამ დაფხავებულ ქობთან რომ ჩაფოფხდა; მაღალპარმალიანი სახლი, სადაც მარჯვედ გადაადგო ახალი ამბების დაკეცილი შეკვრა.

ყოფილ შიკრიკს — ჩვიდმეტი წლის კუნთმავარ, სოფლელ ბიჭს უკეთესი სამსახური მისცეს გაზეთის რედაქციაში. ჯენინგს უფრო ერქვა. უხეში, გულკეთილი, ცოტათი ცინიკური ყმაწვილი იყო და ძალიან ბევრს ენოდა. სიცოცხლისუნარიანობას და სიმყუდროვეს ასხივებდა. თავის შეგირდს ასწავლიდა, როდის და სად შეიძლებოდა, გადაჰყროდა „ნითურას“ ჩასაფრებულ სახეს, როგორ უნდა დამალულიყო სასაუზმის დახლქვეშ, როგორ დაეკეცა, ბურთის სისწრაფითა და სიზუსტით როგორ ეტყორცნა გაზეთი.

ჯერ კიდევ დაუბადებელი დილის სიგრილეში იწყებდნენ თავიანთ მარშრუტს, ტროპიკულ ძილში ჩაფლული ვოლერი-სტრიტის ციცაბო გორაკს ჩაირბენდნენ, მერე გვერდით ჩაუვლიდნენ შავი საძინებლების უძრავ აპათიას, ათასნაირ აკრძალულ სიყვარულს, ზანგების უბნის შემთხვევით და ურიცხვ მრუშობას. როცა ხეში, დაკეცილი გაზეთი მძიმედ ენარცხებოდა ქობის მორყეულ პარმალზე ან კარის დაფხავებულ ჩარჩოზე, შიგნიდან უკმაყოფილების ნიშნად გრძელი, გულმოსული კვნესით პასუხობდნენ. ესენი ხითხითებდნენ.

— ამან შემდეგ ჯერზეც თუ არ გადაიხადა, ამოშალე, — ეუბნებოდა ჯენინგს უფრო, — ექვსი კვირის ვალი აქვს.

— ესენი, — განაგრძობდა და წყნარად გადაადგებდა გაზეთს კართან დაფენილ ფარდაზე, — კარგად იხდიან. კარგი ზანგები არიან. ყოველ ოთხშაბათს მოგცემენ ფულს.

— აქ მაღალი მულატი ცხოვრობს, — ამ სიტყვებით გემრიელად მოქნეული გაზეთი სტყორცნა კარებს და ცალყბად, ეშმაკურად ჩაიცინა, როცა შიგნიდან ქალის აღმოთებულმა, თავგამოდებულმა ყვირილმა უპასუხა. — თუ მოინდომებ, უარს არ გეტყვის.

იუჯინს ტუჩები შეშინებული, ავადმყოფური ღიმილით აუთამამდა. ჯენინგს უფროსი გამჭრიახი მზერით გახედა, მაგრამ აღარ ჩააცვივდა. ჯენინგს უფროსი გულკეთილი ბიჭი იყო.

— კარგი გოგოა, — უთხრა მან, — რამდენიმე მკვდარი სულის უფლება გაქვს. იოლად გაგირიგდება.

ბნელ, მოუკირწყლავ ქუჩას დაუყვანენ, სახლიდან სახლამდე სწრაფად კეცავდნენ გაზეთებს.

— დანყველილი მარშრუტია, — თქვა ჯენინგს უფროსი, — ნვიშაში საშინელებაა.

მუხლამდე ტალახში მოგინევს სიარული. და ამ ნაბიჯებშიდან ნახევარი ფულს არ იხდის, — გაბოროტებით მოისროლა გაზეთი.

— თუმცა, — განაგრძო მეორე ნუთში, — უიშაობა თუ გინდა, კარგ ადგილას ხარ მოსული. არ გეხუმრები!

— მერე... მერე ზანგებთან? — დაიჩურჩულა იუჯინმა და გამშრალი ტუჩები დაისველა.


ჯენინგს უფროსი ნითელი, დამცინავი სახით შეხედა.

— აქ მაღალი საზოგადოების ლამაზმანები გეგულებან?

— ზანგები კარგები არიან? — ხმადაბლა ჰკითხა იუჯინმა. ყელი ჩაუშრა.

— ბიჭო! — იფეთქა ჯენინგს უფროსი. მერე ერთხანს ჩუმად იყო, — უკეთესი არ არსებობს, — უთხრა ბოლოს.

თავდაპირველად ჩანთის ტილოს სახელური მწარედ უხეხავდა გამხდარ მხრებს. დაძაბული მიათრევდა ჩანთას, სიმძიმის-



გან წელმონყვეტილი და მოხრილი. პირველი კვირები ღამის კომპარს ჰგავდა: ვითომ ომში იყო, დღითიღვე ბრძოლით იკაფავდა გაზს თავისუფლებისკენ. ახლა ესმოდა იმათი დარდი, ვინც სიმძიმეს დაათრევდა; ერთ დილას მეორე მოჰყვებოდა და უკვე იცოდა, რა არის ხსნის ჰაეროვანი ექსტაზი. დღის განმავლობაში ტვირთი კლებულობდა და ფრთაშესხმული, ხალისით იმართებოდა მხრებში, დაძაბული კიდურები აუმიძრავდებოდა: სამუშაოს რომ მოიღვედა, ნაჯაფი, ქანცგანყვეტილი სხეული მსუბუქად დაფარფატებდა მიწაზე. მერკური იყო, ტვირთით შებოროტილი, არიელი, ტომრის სიმძიმით მოხრილი: განთავისუფლებოდა და ფრთაშესხმული მიციმციმებდა. ჰაერში დატყუროდა. ნამახული ვარსკვლავები დაჰკაშკაშებდა მის მონობას: თავისუფლება ნითლად ათენდებოდა თავზე. იმ მეზღვაურს ჰგავდა, ტრიუმფში რომ იხრჩობა და ხელის ცეცებით მიიწევს ლიუკისკენ სიცოცხლესა და დილაში ამოსასვლელად; რვაფხვას საცეცებში უსამეველოდ გახლართულ მყვინთავს, სიკვდილისგან თავდასალწვევად თავს რომ ისახიჩრებს და ზღვის ფსკერიდან ნელა ამოდის სინათლეზე.

ერთ თვეში კუნთის სქელი კორძი გაუმავრდა მხარზე; ხარობდა თავისი სამუშაოთი. ახლა მარცხის აღარ ემინოდა. გული უფართოხლებდა ამაცი, ბიბილოვანი მამალივით. უშელავათოდ შეაგდეს ხალხში და სხვებს აჯობა. წყვილიან ბატონი იყო; ალტაცებას ჰგვრიდა თავისი საქმით მოგვრილი მარტოსული კმაყოფილება. დადიოდა უბნის ფართოდ გაშლილ ქაოს-

ში, ახალი ამბების მტყორცნელი — მძინარე ადამიანებისთვის. სწრაფი ხელებით კეცავდა შრაშუნა ფურცლებს, შოლტივით მოიქნევდა გამხდარ მკლავს. ხედავდა, თანდათან როგორ იძირებოდა და ხუნდებოდა ფერმკრთალი ვარსკვლავები და დაკბილული შუქი ეფინებოდა მთებს. ერთადერთი ცოცხალი სულიერი იყო და მარტოდმარტო იწყებდა ადამიანებისთვის ახალ დღეს, როცა დარაბებით ჩარაზულ ფანჯრებთან ჩაივლიდა და ტროპიკების გრძელი, გამოქვაბულში ჩამწყვედივით ხვრინვა ესმოდა. დადიოდა ამ ვინრო, ბლანტ ძილში, ისევე ესმოდა საკუთარი ფეხების აჩრდილისებრი ბაკუნი და სიბნელის უნაპირო, საორკესტრო მუსიკა. როცა დილის რუხი ტალღა დასავლეთისკენ აზვირთდებოდა, ბიჭი იღვიძებდა.

იუჯინი თვალს ადევნებდა, როგორ ნელ-ნელა გადადიოდა ერთმანეთში წელიწადის დროები; ხედავდა თვეების მეფურ მსვლელობას; ხედავდა, ზაფხულის შუქი

შინ, მთელი ტანით ანეგებოდა წინდახვედრი კედელს, როცა ქარი მთას აშტორავდა; უხაროდა, როცა გაზაფხულზე დაორთქილი ციდან წვრილი, ცივი წვიმა ცრიდა. მარტო იყო.

გააფრთხილებული შეუპოვრობით დასდევდა ურჩ ხელმომწერლებს გადასახადისთვის. მათ ზერეულ დაპირებებს უხმოდ ისმენდა; მერე კი მოსვენებას არ აძლევდა — თავიანთ ოთახებში, ან მეზობლისას, ისე ჯიუტად აძალებდათ გადახდას, რომ ბოლოს ვალის ნაწილს ისტუმრებდნენ — ზოგი დაბლვერილი და ზოგი უწყინრად. ამდენს ვერც ერთი მისი წინამორბედი ვერ ახერხებდა, მაგრამ ბიჭი უსამეველოდ მფოთავდა და ნერვიულობდა თავისი ანგარიშების გამო, სანამ არ აღმოაჩინა, რომ დისპეტჩერი უგერგილო ბიჭებს ეუბნებოდა, მაგალითი იუჯინისგან აიღეთო. როცა მაგიდაზე რის ვაი-ვაგლახით შეგროვილ ხურდას გადმოცლიდა, უფროსი საყვედურით მიუტრიალდებოდა ვინმე უმაქნის ბიჭს და ეუბნებოდა:

— აჰა, შეხედე! ყოველ კვირას ასე მოაქვს! ზანგებსაც კი ახდევინებს!

ფერმკრთალი სახე სიხარულითა და სიამაყით აელუნებოდა. დიდ კაცთან ლაპარაკისას ხმა უკანკალებდა. სიტყვის თქმაც უჭირდა.

როცა სიბნელეში ქარი ღმუოდა, იუჯინს მანიაკური სიცილი აუტყუდებოდა. მაღლა ხტოდა გიჟური ლხენით, ხახიდან ამოშვებული იდიოტური, ცხოველური ჭყინვით გამმაგებულ სტყორცნიდა გაზეთებს ქობების დაფხავებულ, ხის კედლებს. თავისუფალი იყო. მარტო იყო. მატარებლის ყრუ სტვენა ესმოდა — არც ისე შორიდან. წყვილად უწვდიდა ხელს დამცავსათვლიან კაცს ლიანდაგებზე, ლითონივით მტკიცედ მდგომ მოძმეს, ლიანდაგს თვალს რომ არ ამორებდა.

ოჯახური მუშტის მუქარაზე ისე აღარ კრთოდა. გახარებულს აღარ ღრღნიდა ფიქრი საკუთარ უვარგისობაზე.

სასაუზმეში სამ-ოთხ შიკრიკთან ერთად იჯდა ხოლმე, მონევა ისწავლა: გაზაფხულის ტკბილი, ლურჯ ჰაერში, თავის მარშრუტზე რომ ეშვებოდა თავდაღმართში, ქალბატონი ნიკოტინის სილამაზეს ეზიარა, სილამაზეს მშვენიერი ლანდისა, რომელიც ტვინში მიიკლავებოდა, ნორჩ ნესტოებში მძაფრ სუნთქვას უტოვებდა, ტუჩებზე — ჩნავაფ კოცნას.

ალესილი სამართებელი იყო. გაზაფხული გულში ეკალს ასობდა, ტუჩებს შლეგური ყვირილი მოსწყდებოდა. ამას სიტყვებით ვერ გამოთქვამდა.

იცოდა მიმძილი. იცოდა წყურვილი. მის სულში ვეება კოცონი ღვივდებოდა. ღამით მოჩურჩუხე შადრევნებით იგრილებდა გახურებულ სახეს. მარტობისას, ხანდახან ტიროდა ტკივილისა და მღელვარებისგან. სახლში მისი ბავშვობის შემინებულმა სიჩუმემ ახლა გამმაგებული თავშეკავების ელფერი შეიძინა. დღის ცხენივით იყო დაჭიმული. თავდაპირველი რისხვის თეთრი ატომი შიგნით რაკეტასავით აუფეთქდებოდა და შეშლილივით ამოაფრქვევდა წყველა-კრულვას.

— რა სჭირს? პენტლენდების სიგიჟემ ხომ არ უნდა? — იკითხა ელიზას სამზარეულოში მოკალათებულმა ჰელენმა.

მრავალმნიშვნელოვნად ტუჩებმოწყურული ელიზა ერთხანს ნელა აქნევდა თავს.

— როგორ, — უთხრა ცბიერი ღიმილით, — ეგ არ იცი, შვილო?

ზანგების გარეშე ვეღარ ძლებდა. ნაშუადღევს უნდამ ზანგების სკასავით დარეუტულ უბანში დაეხეტებოდა. ვაცვეთილი ლოდების კალაპოტში დადენილი, სქელი, ყავისფერი უწმინდურობით სავესე არხის საძაგელი სიმყრალე, ეზოში — ხის-კვამლისა და რკინის შავ ეზოს-ქვაბში გამოსახარმად ჩაყრილი სარეცხის სუნი, ჯუნგლების ბინდებულდის ხმადაბალი კადენციები, ნაირ-ნაირი ფიგურები სრიალებდნენ, ეცემოდნენ და უჩინარდებოდნენ მოციმციმე, წვრილ-წვრილი ხმების საორკესტრო თანხლებით. მსხვილი ბაგირივით დახვეული მეტყველება ბინდებულდში, შესანავად დალაგებული თევზის ცხიმიანი შიშინი, სადაღაც შორს, ზანჯოს სუსტი ნკარუნი, და მტკიცე, შორეულ-სუსტი ბაკუნი მძიმე ფეხების; ნილოსური, მდინარის-მოთქმა, და ოთხი ათასი ღამის გაქონილი შუქი ქობებსა და გაქირავებულ ოთახებში.



პოეტი

ეკა ქევანიშვილი

ეკა ქევანიშვილიმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი პროფესორის ფაკულტეტი, საერთაშორისო უნივერსიტეტის სპეციალობით, 2002 წელს დაამთავრა. სხვადასხვა დროს წერდა პერიოდული გამოცემებისთვის, მათ შორის მუშაობდა გაზეთებში „რეზონანსი“ და „ახალი ვერსია“, ასევე — რადიო „მწვანე ტალღაში“. 2008 წლიდან კი რადიო „თავისუფლების“ თბილისის ბიუროს რეპორტიორია.

მისი პირველი პოეტური კრებული „ჭორია“ 2006 წელს გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა, მომდევნო კრებული კი, სახელწოდებით „აქ ნუ დადგებით“, 2010-ში გამოვიდა. ორივე წიგნი, და მათზე უფრო ადრე გამოცემული „ქალთარაფრაც“ — ეკა ქევანიშვილისა და ნინო თარხნიშვილის ერთიანი სადებიუტო ნამუშევარი — სხვადასხვა წელს იყო წარდგენილი ლიტერატურულ პრემია „საბაზე“ და სამივე ფინალისტად დასახელდა. თუმცა ეკა ქევანიშვილი „საბაზე“ ლაურეატი 2013 წელს გახდა წლის საუკეთესო პოეტური კრებულისათვის „სახლის გაყიდვა“, რომელიც „საუნჯემ“ გამოსცა. ეკა სხვა არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელიცაა. მისი ბოლო პოეტური კრებული „ეკაკუაციის გეგმა“ 2016 წელს გამოსცა გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში“.

ეკა ქევანიშვილს ეკუთვნის ინტერვიუებისა და ესეების კრებული „ლიტერატურული პროფაილ“.

— პირველი კითხვა თქვენმა ერთ-ერთმა ფეისბუქსტატუსმა გამოიწვია. იქ ასე ამბობთ: „ბოლო დროს ცოტას და იშვიათად ვწერ. და არა ისე დაუფიქრებლად და ერთი ამოსუნთქვით, ვიდრე აქამდე, და არც ისე ყველგან, როგორც ადრე... როცა ცოტას წერ და დასაწერი კი ბევრი გაქვს დაგროვილი, მაგრამ ვერ თუ არ გამოდის, ზუსტად ისე, როგორც ნემსით ნაჩხვლეტი თითიდან სისხლი, როცა ათასჯერ გამოწვავ და ზუსტად ისე, როგორც სიზმარში, ყვირილი რომ გინდა და ხმა არ ამოგდის, გრძნობ, როგორ იქცევი ჩალის შეკვრად, შემოდგომაზე ხეზე რომ ჩამოკიდეს უკეთესად გამოსაშრობად, მზესთან მისაახლოებლად“. და რატომ არ გამოდის, ზოგჯერ, წერა? ალბათ სულ ერთ-ნაირად ვერ იქნება, არა? შეიძლება, ზოგს პირიქითაც გამოუცდია. ეს ალბათ ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

— სინამდვილეში პასუხი გაცილებით უფრო ტრივიალურია, ვიდრე პოეტისგან შეიძლება, ვინმე ელოდოს. პოეტის ცხოვრება საქართველოში ჩვეულებრივი მუშათა კლასის ცხოვრებაა, ცხადია, თუ გინდა გაძლო და თავი გადაირჩინო. ეს რეჟიმი კი, რომლითაც შეძლებისდაგვარად ხელმისაწვდომი კეთილდღეობა გვინდა მოვიპოვოთ, რუტინას ვერ გამოირიცხავს. რუტინა კი ძალას გაცლის და დროს არ გიტოვებს, შეამჩნიო და დააკვირდე დეტალებს. დეტალების გარეშე პოეზია ძნელად იწერება. ეს დეტალები კი შეიძლება იყოს უცებ მოსულ გაზაფხულში, რომელიც გამოგრჩავს. სულ ესაა.

— როგორ დაიწყეთ წერა, შეგიძლიათ, გაიხსენოთ? პოეზია განსაკუთრებული რამე მგონია — სხვა ხედვა, ალქმა, სხვა შინაგანი წყობა თუ მდგომარეობა, რომლისგანაც თავს ვერ დაიხსნი, პოეტობა, ვფიქრობ, განსაკუთრებული მდგომარეობაა. ასეა?

— მე მაინც მგონია, რომ ჩემთვის წერა ერთგვარი გამოსავალი იყო თავის დროზე. გამოსავალი რაღაცადან, რაც არ მყოფნიდა, რისგან დაშორებაც მსურდა. სათქმელი კი ასე გამოიხატა — სიტყვით. როცა იმაზე მეტი გაქვს (ამო)სათქმელი, ვიდრე ის წინადადებებია, რომლითაც ყოველდღიურობას ვივსებთ, ის სადღაც უწონავს. ფორმა კი, ფორმას იმის მიხედვით ირჩევ, რა უკეთესად გამოგდის. მე მაინც

იქით მივდივარ, რომ ბოლომდე ყველაფრის სწავლა არ გამოდის — ანუ კი დაწერ ლექსს, ბოლოს რაღაცას დახატავ და მუსიკაც შეიძლება დაწერო თუ ძალიან მოინდომებ, მაგრამ ეს ის არ იქნება, რაც ავტორად, მხატვრად და მუსიკოსად



გაქცევს. მოკლედ, ეს შენში ან დევს, ან არა. ჩემთანაც ასე დაიწყო — ბანალურად, ბავშვობიდან. მაშინდელი სკოლის რვეულებში წერით. და ვწერდი ყველაფერს, რაც თავში მომივიდოდა — ოღონდ ლექსებს არა. ამბებს. მერე კი ერთ დღეს იმ ამბებმა თავისუფალი ლექსის ფორმა მიიღო და ვეღარ გაეჩერდი. მაშინ მეტი თავისუფლება მქონდა და ნაკლები საზრუნავი. რაც შეეხება განსაკუთრებულობას — არ ვიცი, თავი ასეთად არასოდეს მიგრძნია. მხოლოდ ის, რომ რაღაცები ისე ჩანს ჩემგან, როგორც სათამაშო კალეიდოსკოპში. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, ვიცი ის, რომ ამის შედეგი ლექსის დაბადებაა ხოლმე. და კიდევ, ჩემთვის ყველაფერი ლექსის „მასალაა“, რაც კი გარშემო ხდება. არაპოეტებისთვის კი, ალბათ, ჩვეულებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი.

— იმ ფეისბუქსტატუსში, ზემოთ რომ ვახსენე, წერთ — სიამოვნებით დავესხნებოდი ამ ვნებასო — ასეთი ძნელია მისი ტარება?

— ტარება ძნელი არ არის, ძნელია, როცა თავში სიტყვების ჯანყი გაქვს, დიდი დემონსტრაცია — დრო კი არ გაგაჩნია,

რომ დაჯდვ და დანერო. თუ შენს დასაწერს რაიმე მიზეზით გარეთ არ უშვებ, ეს ძალიან შემაწუხებელია. ჩემთვის ზუსტად იგივე შეგრძნებაა, დიდ მანძილზე მძიმე ჩანთებით შეუსვენებლად რომ ვიარო. თუ საშველს ვერ პოულობ, ეს ტვირთი გლლის. მე მლლის და მერე ვწუნუნებ ხოლმე. მისგან გათავისუფლების დროდადრო გაჩენილი სურვილიც ამის გამოა. თუმცა, ალბათ, ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნები, მართლა არ ვიცი, სხვამ რამ უნდა დაიკავოს მისი ადგილი. მაგალითად, მეზაღვრომ გავხვდი? მეექვსეა, კმაყოფილება ვიგრძნობ.

— საყვარელ პოეტებზე მელაპარაკობ იქნებ? და რატომ სწორედ ისინი, რით გამოარჩიეთ თქვენთვის?

— არ მყავს საყვარელი პოეტები, რომელთა წიგნებსაც დროდადრო გადავშლი და პოეზიის სენსებს მოვიწყობ. მე მყავს პოეტები, რომელთა სიტყვის ძალა ერთხელ ვიგრძენი, ნავიკითხე, ვაღიარე და მერე დავხურე. და უბრალოდ ვიცი, რომ მათი აზროვნების ველი ჩემი კომფორტის ადგილია. და ისე, კრებითად თუ ვილაპარაკებ, ამერიკელი პოეტები მიყვარს, უფრო ბიტნიკების თაობა. მათი პროტესტი, მათი

მძაფრ გრძნობებს ინახავს. ისეთს, როგორც 25 წლის გოგოს შეიძლება ჰქონდეს, როცა არავისი და არაფრის უმინია.

— 2010-ში „დიოგენემ“ მეორე კრებული — „აქ ნუ დადგებით“ — გამოსცა. სამი წლის შემდეგ გამოსული „სახლის გაყიდვა“ კი „საბაზე“ ჟიურიმ წლის საუკეთესო პოეტურ კრებულად გამოაცხადა. როგორ ფიქრობთ, რით გამოარჩია ჟიურიმ სწორედ ეს კრებული? თქვენი კრებულები ხომ თითქმის ყოველთვის „საბაზე“ ფინალშია.

— მიფიქრია ამაზე. პირველ წელს დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი დებიუტი — მაშინ ჩემი და ნინო თარხნიშვილის წიგნი „ქალთარაფრაც“ ერთად შეკრული, ერთი კონცეფციით გამოვიდა — პრემიას იმსახურებდა. თუმცა დიბისი პიერის ძალიან კარგი წიგნის, „ვერნონ გენიოს ლითლის“, ქართულმა, ქეთი ქანთარიას თარგმანმა აიღო „საბაზე“. მაშინ გამიჭირდა გაგება — როგორ შეიძლება, ერთმანეთს დაუპირისპირო ბუკერის პრემიის ლაურეატი წიგნის თარგმანი პოეზიას-მეთქი. ეს ახლაც არ მესმის, მაგრამ რაცაა, ეგაა. მაგაზე დიდხანს თავი არ მიმტვრევია.

შემდეგი კრებული, „აქ ნუ დადგებით“, გამორჩეულად მიყვარდა და თუ მაინცდამაინც „საბაზე“ ავიღებთ წარმატების საზომად, ალბათ, ამ კრებულს ეს ჯილდო ყველაზე მეტად ეკუთვნოდა. რატომ გამოარჩიეს მესამე — არ ვიცი. ეს, ალბათ, ჟიურიმ უნდა თქვას. ეს ხომ ძალიან სუბიექტური ამბავია — კონკურსები. ისე კი, „საბაზე“ ჩემი ცხოვრება დიდად არ შეუცვლია, კომუნალურ ხარჯებს მოხმარდა; ასევე, ძალიან არაპოეტურ საჭიროებებს.




— თქვენ თვითონ რომელი კრებული გიყვართ და მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ადრე უფრო მქონდა ხოლმე არაერთგვაროვანი გრძნობები ჩემი წიგნების მიმართ. ხომ ვთქვი, „აქ ნუ დადგებით“ გამორჩეულად მიყვარდამეთქი. რაც დრო გადის, ასეთი ემოციური ბმებიც ქრება. ზოგიერთი ლექსი არც მახსოვს ხოლმე, მე თუ დავხურე. ეს სიმძაფრე და ეიფორია იკლებს წლებთან ერთად. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, წიგნი დანერე. მერედა რა? მილიონობით წიგნი იწერება და ქრება. ჩემებიც ასე გაქრება. ახლა ასე ვარ — ჩემი ბოლო კრებულის გამოსვლიდანაც ლამის სამი წელი გადის. რაღაც ახალი მჭირდება აშკარად, რომ სიყვარულის შკალაზე თავი გადავიმოწმო.

— პროზაში მუშაობა არ გიყვართ?

— ახლა სწორედ მოთხრობების კრებულზე ვმუშაობ. მაგრამ არა იმიტომ, რომ მეცადა ან როგორცაა, უბრალოდ, მე ისე-დაც პროზით დავინწყე. თავიდან სწორედ მოთხრობებს ვწერდი, ცხადია, ძალიან სასაცილოს, მაგრამ ამბის მოსათხრობად ლექსზე გრძელი ტექსტები მჭირდებოდა ხოლმე. ახლა ისევე იქ დავბრუნდი, ასე მგონია. ვწერ, მაგრამ ამასაც რთულად და ნელა, რადგან პროზის გაცილებით მეტი შრომა სჭირდება. მე კი ის ავტორი არ ვარ, დღეში ერთ გვერდს მაინც რომ დაწერო — ასეთ რამეებს ჩემს თავს ვერც ვპირდები და ვიცი, რომც დავისახო მიზნად, ვერ შევასრულებ. ამიტომ, მხოლოდ მაშინ, როცა ერთ საათს მოვპარავ ხოლმე სხვა საქმეებს, ვჯდები და წერას ვინწყებ. ძალიან მინდა, რომ წელს გამოვიდეს, ვნახოთ.

„ დიდი ამბები მჭირდება “



— ძალიან საინტერესოა ინტერვიუების კრებული, „ინტელექტმა“ რომ გამოცა. პორტრეტების ოსტატი ხართ, ძალიან კარგად ხედავთ ტიპაჟებს. ადამიანებს, პერსონაჟებს და მერე ჩვენც გვაჩვენებთ ჩვეული სიზუსტით — პოეზიაშიც და ჟურნალისტიკაშიც.

— ისე გამოვიდა, რომ დაახლოებით ასამდე თანამედროვე მწერლის პროფაილი დავწერე, ინტერვიუ, პორტრეტი — ხან როგორ და ხანაც როგორ. ამ წიგნის შემდეგ ერთი კრებული კიდევ გამოვიდოდა, იმდენი მასალა დავგროვებდი, ვფიქრობ, რომ თუ წლების მერე ვინმე დაინტერესდება თანამედროვე მწერლებს (ცხოვრებით, შეხედულებებით, იქ ბევრ საინტერესოს იპოვის. ამ სერიამ ჩვენი მწერლები, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარია, სულ სხვა მხრიდან დამანახა. ამიტომ მგონია, რომ მათ ცოტა უფრო უკეთესად ვიცნობ, ვიდრე მე ისინი. მაგრამ ჩემი პროფესია ზუსტად ესაა — სხვების მოსმენა და მათი ამბების სხვებისთვის მოყოლა.

— რაკი ჟურნალისტიკა ვახსენეთ, რადიო „თავისუფლებაზე“ მინდა, გკითხოთ, თქვენს სამუშაოზე, საოცარ ადგილზე იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან საინტერესო ხალხის შესაქრებელია, „საბას“ ლაურეატები, მწერლები, პოეტები, ვის არ ნახავთ იქ. მიაშვებთ ამ სივრცეზე, ამ ადგილზე.

— მეთერთმეტე წელი დაიწყო ჩემი და რადიო „თავისუფლების“ ერთად ყოფნის. ისე მოხდა, რომ იქ თავი პროფესიონალის გარდა, მეგობრებმაც მოვიყარეთ. მე ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება არ მიყვარს. ეს ადგილი აღმოჩნდა, სადაც იმაზე დიდხანს შევჩერდი, ვიდრე წარმომედგინა. ალბათ, მაინც იმიტომ, რომ რეპორტიინგი მთელი ჩემი ცხოვრებაა — აქ კი, სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით, იმ სტანდარტებით ვმუშაობდი მთელი ეს წლები, როგორც იტალია, ჩემი აზრით, მედია უნდა მუშაობდეს. თუმცა, უკეთესი არჩევანი რომ მქონდეს, ალბათ, დღეს უკვე შევცვლიდი რამეს. რამე სხვას ვცდიდი. ყოველთვის დგება დრო, როცა რაღაც ადგილიდან უნდა ნახვიდე. ამას ვგრძნობ.

— პირველ შეკითხვას ვუბრუნდები: ხშირად ვეღარ წერთ, მაგრამ მაინც რადიოს უთმობთ პოეზიას?

— ადრეც მითქვამს, ამ უდროობამ და დატვირთვამ რეჟიმმა რაღაც ცალკე სისტემური ფაილები შექმნა ჩემს თავში, სადაც ეს ინფორმაცია ილექება. მასში ხან მხოლოდ სათაურები გროვდება, ხან თემა, რასაც მინდა, გამოვიხმაურო ხოლმე, ხანაც წინადადება, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება მოვინდეს, მაშინაც, როცა, მაგალითად, რომელიმე პოლიტიკოსის წინ მიკროფონით ვდგავარ და რაღაც საჭირობოთი კითხვებს ვუსვამ. იმის თქმა მინდა, რომ ლექსები არასოდეს არიან მშვიდად და თავისთვის — მე მათ ასე ადვილად ვერ ვაკონტროლებ. რაც შეეხება ინსპირაციას — მე მაინც რეაქციების პოეტი ვარ. მითქვამს და ახლაც იმავე აზრზე ვარ, ჯერჯერობით — რამე უნდა მოხდეს, ეკამ რომ წეროს. მე დიდი ამბები მჭირდება, რომ მერე ისინი ლექსის თემად ვაქციო. დინამიკა. კატაკლიზმები. პოლიტიკა. ცუნამი. რა ვიცი. ასეთი რამეები.

— რა გეგმები გაქვთ, ახალი კრებულის გამოცემას ხომ არ აპირებთ. მგონი, უკვე არსებობს თქვენი ლექსების სრული კრებული „პერმესი და ეა“, ის მეტ-ნაკლებად მოიცავს ალბათ სხვადასხვა წელს დანერგულ ლექსებს, ყველა ეტაპს თქვენი შემოქმედების. ამან მაფიქრებინა, რომ სხვა, რაღაც ახალი ეტაპი იწყება.

— არა, „პერმესი და ეა“ უბრალოდ ელექტრონული კრებულია, მასში სხვადასხვა კრებიდან შერჩეული ლექსები შეიკრიბა და ეს სპეციალურად ელექტრონული პლატფორმისთვის გაკეთდა რამდენიმე წლის წინ. ჩემი ბოლო წიგნი კი, „ევაკუაციის გეგმა“, 2016-ში გამოვიდა. ამის შემდეგ პაუზაა. უფრო მოთხრობების კრებულის გამოცემას ვფიქრობ, მაგრამ ამასწინათ რომ ჩავხედე ჩემს სამუშაო ფაილებს, ლექსებიც და გროვოვია. იქნებ დროა, ისინიც გავუშვა მკითხველთან? მოვიფიქრებ. რაც დრო გადის, უმარტივესი გადანაცვლებების მიღება რატომღაც სულ უფრო რთულდება. მგონი, მართლა ძალიან გავიზარდე.

ესაუბრა თამარ ქურული

დასასრული

დასახლება გარს ერტყმოდა გაქვცულ ცენტრალურ გორაკს, საიდანაც გოლგოთის ბაპტისტური ეკლესიის სულშეხუთული ხმები ისმოდა — დამქანცველი და უწყვეტი თავგამოდებით, საღამოს შვიდი საათიდან ღამის ორ საათამდე, ეს ხმები ცოდვის, სიყვარულისა და სიკვდილის ელურ, ჯუნგლებისეულ მოთქმად იღვრებოდა. წყვილად შეფარებული ხორცი და საიდუმლო. ყველგან სიცილის უხვი წყაროები ჩუხჩუხებდა. კატისებრი სრიალი. ყველაფერი არსებითი იყო, ყველაფერი შორს იყო. ხელს ვერაფერს შეახებდი.

წყვილადის ამ ძველისძველ ჯადოქრულ-ჯადოსნურობაში თანდათანობით გააცნობიერა ბოროტების საზარელი უმანკობა, ძველისძველი რასის საშინელი ახალგაზრდობა; ათრთოლებული, სიბნელეში დაძრწოდა და გაშლილ მკლავებს იქნევდა, თვალები უბრწყინავდა. ტანში გაურკვეველი სირცხვილი და ძრწოლა უვლიდა. თვალს ვერ უსწორებდა გულში ჩამარხულ შეკითხვას.

მისი ხელმოწერების სია ძირითადად ნესიერი და მშრომელი შავკანიანებისგან შედგებოდა — დალაქები, თერძები, ნოქრები, ფარმაცევტები და კუბოკრულ ჩითისკაბიანი, ზანგი დიასახლისები — ზუსტად დათქმულ დღეს უხდინდნენ ყოველკვირეულად, გულთბილი, ფართო დიმილითა და უცნაური, კეთილი მეტსახელებით ესალმებოდნენ: „მისტერ“, „პოლკოვნიკო“, „გენერალო“, „გუბერნატორო“ და ასე შემდეგ. ყველა განტის ნაცნობი იყო. მაგრამ მეორე ნაწილი — სადაც ბიჭის სურვილი და ინტერესი ერწყმოდა — „მანანალები“ იყვნენ — ახალგაზრდა კაცები და ქალები საეჭვო სახსრებით, არეული ცხოვრებით, ვინც ამ სკაში უჯრიდან უჯრაში დასრიალებდა, ვინც ღამეს ფარფატა იღუმალებით ავსებდა. კვირების განმავლობაში ამაოდ ეძებდა ამ ლანდებს, სანამ არ გაიგო, რომ მათ მხოლოდ კვირა დღით თუ მიაგნებდა — ერთ-მანეთზე მძიმე ტომრებივით გადაკიდებულებს, ნაქირავები ოთახის აქოთებულ სიბნელეში, ნახევარ დუჟინ ახალგაზრდა ქალსა და კაცს; გამოთავებულები ხვრინავდნენ, ვისკით გამოთავებულები, სექსუალურად გამოფიტულნი.

ერთ შაბათ საღამოს, ზაფხულის ბინდბუნდის გახუნებულ სინთლეში დაბრუნდა ერთ-ერთ ნაქირავებ ბინაში, დაბრეცილ, სამსართულიან ქოხში, ორი ქვედა სართული მაღალ თიხნარ ფერდობს ებჯინებოდა, თეთრების მეზობლად, დასავლეთ კიდესთან. აქ ორი დუჟინი ქალი და კაცი ცხოვრობდა. იუჯინი ერთ ქალს ეძებდა, სახელად ელა კორპენინგს. ვერა და ვერ პოულობდა: ქალს ხელმოწერის რამდენიმე კვირის ფული ემართა. მაგრამ ამაღამ მისი კარი ღია დახვდა: ბიჭს თბილი, გაკვამლული ჰაერი და კერძების სამზადისის სუნი შემოეფეთა. ფერდობზე დამპალი საფეხურებით დაეშვა.

ელა კორპენინგი კარისკენ შემოტრიალებული იჯდა, სარწველა სავარძელში, სამზარეულოს ქურის წითელ ანარეკლში ზანტი კრულუნით, მოხერხებულად გაენვდინა დიდი ფეხები. ოცდექვილი წლის მულატი, ამაზონელის აგებულების ლამაზი ქალი იყო, გლუვი, მოყავისფრო-მოყვითალო კანი ჰქონდა.

ერთ-ერთი ყოფილი ქალბატონის ტანსაცმელი ეცა: ყავისფერი, შალის ქვედატანი, ლაქის ფესხაცმლის მაღალი, ნატის ყელი სადაფის ღილებით ჰქონდა შეკრული. გრძელი, მძიმე მკლავები ყავისფრად ილანდებოდა ახალგაერცხილი, თეთრი ბლუზის მსუბუქ ქსოვილში. იაფფასიანი ლურჯი ლენტის ზონრები ჯვარედინად უპრიალედა მძიმე მკერდზე.

ქურაზე შემოდგომულ ქვაბში კომბოსტო და თხლად დაჭრილი, მსუქანი ღორის ხორცი თუხთუხებდა.

— გაზეთიდან ვარ, — უთხრა იუჯინმა, — გადასახადზე მოვედი.

— შენ ხარ, ბიჭო? — განელა ელა კორპენინგმა და ზანტად შეიმშუშნა, — რამდენი მმართველ?

— 1 დოლარი და 20 ცენტი, — უპასუხა ბიჭმა. მრავალმნიშვნელოვნად გახედა განვიდელ ფეხს — მუხლს ქვემოთ ბუნდოვნად დალანდა წინდაში ჩაჩრილი, დაჭმულხელი ბანკნოტი.



ტომას ვულფი

მოხედა შენს სახლს, ანგელოზო

ფრაგმენტი რომანიდან

— ეგ ქირის ფულია, — უთხრა ქალმა. — მაგას ვერ მოგცემ. დოლარი და 20 ცენტი! — ჩაფიქრდა იგი, — უჰ! უჰ! — უწყინრად დაიბუზღუნა, — მაგდენი როგორ იქნება.

— ეგრეა, — უთხრა ბიჭმა და თავისი ნიგნაკი გადაშალა.

— ალბათ, — დაეთანხმა ქალი, — ნიგნაში თუ ეგრეა.

ერთხანს მყუდროდ ჩაფიქრებული იჯდა.

— კვირა დილას აგროვებ ფულს? — ჰკითხა ბიჭს.

— დიახ, — მიუგო მან.

— ჰოდა, დილით შემოიარე, — უთხრა იმედიანად, — ნამდვილად მექნება. თეთრ ჯენტლმენს ველოდები. დოლარს მომცემს.

ნელა აამოძრავა დიდი ფეხები და გაუღიმა. ბიჭმა თვალბრუნება გაამდგომდა ფეთქვა იგრძნო. ყელგამშრალმა წერწყვი გადაყლაპა: მღელვარებისგან მუხლები ეკეცებოდა.

— რაში... რაში უნდა მოგცეს დოლარი? — ძლივს გასაგონად ჩაიბუტბუტა.

— ჟიმოზისთვის, — უთხრა ელა კოპენინგმა.

ტუჩები ორჯერ გახსნა, მაგრამ სიტყვის თქმაც ვერ შეძლო. ქალი სკამიდან წამოდგა.

— შენ რა გინდა? — ჰკითხა ალერსიანად, — ჟიმოზა?

— ნახვა მინდა... ნახვა! — სული შეეხუთა ბიჭს.

ქალმა ფერდობისკენ გახსნილი კარი დახურა და ჩაქეცა. ქურის ღია სანაცრიდან დაზოლილი, ელვარე შუქი ეცემოდა. ღრმულიდან წამით წითელი ნაპერკლები წვიმა წამოვიდა.

ელა კორპენინგმა ქურის უკან, მეორე ოთახში გამავალი კარი გააღო. იქ ორი ჭუჭყიანი, აულაგებელი სანოლი იდგა; ერთადერთი ფანჯარა ჩარაზული იყო და ძველი, მწვანე ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ქალმა გაჭვარტლული, პატარა ლამპა აანთო და პატარუქს დაუწია.

შელახულ, პატარა, დალაქავებულ-სარკიან ტუალეტის მაგიდას ზედაპირი დაბუჭებული და დამსკდარი ჰქონდა. თეჯირიანი ბუხრის თავზე, დაბალ თაროზე, ელაგა კიუპის¹ თოჯინა ვარდისფერი ლენტის სარტყელით, კარნავალზე მოგებული ლარნაკი დაკბილული კიდებითა და მოოქროვილი ყვავილებით და ქინძისთავების ფურცელი. აქვე იყო „ალტამონტ ენდ აის ქომფანი“-ს ნაჩუქარი კალენდარი — ინდიელი ქალწული კანოეთი მიცურავდა მთავარის ბილიკზე და კაკლის ჩარჩოში ჩასმული, ყვავილოვანი ორნამენტით შემორკალული რელიგიური დევიზი: „უფალს ორივე უყვარს“.

— რა გინდა? — დაიჭურჩულა ქალმა და თვალი გაუსწორა.

შორიდან ჩაესმა საკუთარი, აჩრდილ-ისებრი ხმა:

— გაიხადე. ქვედატანი რგოლივით დაეცა ქალის ფეხებთან. გახამებული კორსაჟი გაიძრო. წუთიც და ბიჭის წინაშე გაშიშვლებული იდგა — წინდებს თუ არ ჩავთვლით.

ქალს სუნთქვა გაუხშირდა, სქელი ენით ტუჩები გაილოკა.

— იცეკვე! — უყვირა ბიჭმა, — იცეკვე!

ქალი ხმადაბლა აკვნესდა, დიდრონ, ყვითელ სხეულში ტალღასავით დაურბინა ჟრჟოლამ; თქოები და მრგვალი, მძიმე ძუძუები ნელა, მგრძნობიარე რიტმით იკლანკებოდა.

სწორი, გაზეთილი თმა სქელ ბულულად ჩამოუვარდა კისერზე. წონასწორობის დასაცავად მკლავები გაშალა, თვალის დიდრონ, ყვითელ კაკლებზე ქუთუთოები მილულა. მიუახლოვდა. ბიჭმა სახეზე იგრძნო მისი ცხელი სუნთქვა, სულისმემხ-უთველად მოზვირთებული ძუძუები. ნაფორტივით დაატრიალა ქალის ვენების ველურ-მა ნიაღვარმა. მძლავრი, ყვითელი ხელები სამაჯურებივით შემოეჭდო გამხდარ მკლავებზე. ქალს მაგრად ჰყავდა ჩაკრული და ნელა აქანავებდა წინ და უკან.

ბიჭი სასონარკვეთით მიინევდა კარისკენ, ქალის ხვევნა სულს უხუთავდა.

— მომშორდი, შე მურიანო. მომშორდი, — ამოთქვა ქოშინით.

ქალმა ნელა შეუშვა ხელი: თვალგაუხელებელი, მკვნესარე გასრიალდა უკან, თითქოს ბიჭი ხის ნერვი ყოფილიყო. მღეროდა, აქვითინებული, მინორული ინტონაციით, უწყვეტად იმეორებდა: „ჟიმოზა! ჟი-ი-იმოზა!“

ხმა ყოველ ჯერზე ხმადაბალ კვნესაში გადადიოდა.

სახეზე, ფართოდ ასვეტილ ყელზე და დიდმკერდიან ტორსზე ოფლი ღვარად მოსდიოდა. იუჯინმა ბრმად, ხელის ცეცებით მოძებნა კარი, გასასვლელ ოთახში გაეარდა და სუნთქვამეკრულმა იპოვნა გზა ჰაერზე გასასვლელად. მორყეულ საფეხურებზე არბოდა და თან მიჰყვებოდა ქალის სიმდრე, მტკიცე და აუმღვრეველი, თითქოს არც წამოსულიყო. სულმო-სათქმელად არ შეჩერებულა, სანამ ბაზრის მოედნის კიდეს არ მიაღწია. ქვემოთ, ხეობაში, და უფრო შორს, გორაკზე, ბინდბუნდში, ზანტების უზნის დაბურული ლამპები ციმციმებდნენ. სკასავით მოფუთ-ფუთე სიბნელიდან ამოდიოდა დაგუდული, ზავერდოვანი, ჯუნგლისებურად ველური სიცილი. შორიდან ესმოდა დაკარგული, ჟღარუნა ინტონაციები, ფეხების გამოზომილი ბაკუნის; უფრო იქით, ზემოთ, ყველაზე სუსტი, ყველაზე შორეული ხმა — ცოდვილთა მძაფრი მოთქმა ეკლესიაში.

¹ კვამლი ვიყავით (ლათ.).
² პერიფრაზი — დასაბამიდან იყო სიტყვა (იოანე, 1,1).
³ თოჯინებისა და ფიგურების მწარმოებელი კომპანია, დაფუძნდა გერმანიაში 1912 წელს.



„დაახლოებით ორმოცდაათი ფესტივალი-დან, რომელზეც ვყოფილვარ, თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი უდავოდ საუკეთესოა. არადა, მერნუნეთ, ძალიან ბევრი კარგი ფესტივალი არსებობს. TIFL კომბინაციაა ყველაფრისა, რაც ლიტერატურას მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.“ არნე სვინგენი (ნორვეგია)

ყველაფერი ერთუზიანებით დაიწყო. ახალგაზრდა მწერალთა სახლის მენეჯმენტს მწერალთა შოთა იათაშვილმა ფესტივალის გამართვის იდეით მიმართა. როგორც გაირკვა, ნატა ლომოურსა და მწერალთა სახლის ერთ-ერთ პირველ თანამშრომელ ლელა შუბითიძეს ამგვარი ფესტივალის ჩატარებაზე ნაფიქრიც ჰქონდათ და ნაოცნებარც. გადამწყვეტს, ფინანსური დახმარებისთვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის მიემართათ, რომელსაც იმხანად მწერალი გურამ ოდიშარია ედგა სათავეში. შესაძლოა, ლიტერატურის პროფესიულმა სიყვარულმა განაპირობა თანხმობა, რომელიც საინიციატივო ჯგუფმა მიიღო. მას შემდეგ ეს უწყება თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მუდმივ პარტნიორად იქცა. თუ ხუთი წლის წინანდელ გადაწყვეტილ საფესტივალო სივრცეებსა და ქართველი თუ უცხოელი ავტორების შთაბეჭდილებებს გავიხსენებთ, იმთავითვე ცხადი იყო — ფესტივალი ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიკავებდა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე.

„საქართველო ცივილიზაციების გზაჯვარედინია. თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი კი — ენების, ინტიმური ყაიდის ფესტივალი. თავდადებული გუნდითა და შთამბეჭდავი ადგილებით, ზედგამოჭრილი გარემოა ტრანსფორმაციული საუბრებისა და მაცოცხლებელი პერფორმანსებისთვის. აქ პოეზია ზეიმობს!“ ჩარლზ ბერნსტაინი (აშშ)

მაშინ, როცა თბილის-ქალაქის ცენტრალური უბნები თითქმის პარალიზებული იყო და ზოგი ოჯახის სინმინდის სადარაჯოზე იდგა, ზოგიც — ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის დღის აღნიშვნას ითხოვდა, ადამიანთა ნაწილი მაჩაბლის 13-ში მისასვლელ გზებს ეძებდა, რათა მწერალთა სახლში ლიტერატურის რიგით მე-5 საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილე უცხოელი ავტორები პირადად გაეცნო. საგზაო დაბრკოლებების მიუხედავად, ზუსტად 18.00 საათზევე, თუმცა ცოტა დაგვიანებით, მწერალთა სახლის მთავარი დარბაზი ლიტერატურაზე შეყვარებული საზოგადოებით მაინც გაივსო და, ალბათ მართებულადაც, მათი მონაწილეობა — არ გამოეტყველებინათ საიუბილეო ფესტივალის პირველივე წუთები — ნატა ლომოურმა ერთგვარ გამირობადაც კი შეაფასა.

თბილისის მე-5 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის დაწყებამდე მწერალთა სახლის დირექტორ-მენეჯერი, ნატა ლომოური ამბობდა, რომ საქართველოდან ნახული 100-მდე ავტორი, რომელიც თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალში დღემდე მონაწილეობდა, ქართული კულტურის, ლიტერატურისა და, ზოგადად, საქართველოს ერთგვარ ელჩად იქცა და ამის დასტური ამ ავტორთა გამოხმაურებებია. მათ რიცხვს წელს 15 ქვეყნის 19 წარმომადგენელი შეემატა.



ყველასთვის გასაგები ლიტერატურული ენა

ორგანიზატორებმა წლებადელი საიუბილეო ფესტივალის მთავარ თემად ხელოვანის და ლიტერატურული ნაწარმოების წინააღმდეგობრივი ბუნება და გაორება აირჩიეს. სწორედ ეს პოლარული სდევდა ლაიტმოტივად თითქმის ყველა შეხვედრასა თუ დისკუსიას. ამასვე ეხმიანებოდა საგანგებოდ დაგეგმილი საღამოები სახელწოდებით — ქართული ლიტერატურული მისტიფიკაციები. ოთხი დღის მანძილზე გიორგი მასისურაძემ, დათო ბარბაქაძემ, ზურაბ ქარუმიძემ, შოთა იათაშვილმა, პაატა ნაცვლიშვილმა, კატო ჯავახიშვილმა, შალვა ბაკურაძემ, დავით გაბუნია, ირაკლი კაკაბაძემ და გიორგი შონიამ ბევრი საიდუმლო გაუხილეს მკითხველებს, რომელთა წინაშე ერთგვარი აღიარებითი ჩვენებით წარსულდგნენ.

17-დან 21 მაისის ჩათვლით მწერალთა სახლის სხვადასხვა სივრცეში მირიამ რეისის (ესპანეთი; მოდერატორი — ირაკლი მენთეშაშვილი; მთარგმნელები: ნინი ელიაშვილი და ირაკლი მენთეშაშვილი), მანფრედ სობოტის (ავსტრია; მოდერატორი — თამარ კოტრიკაძე; მთარგმნელები: დათო ბარბაქაძე და თამარ კოტრიკაძე), ვალჟინა მორტისა და ვასილ მახნოს (ბელორუსი — უკრაინა; მოდერატორი — შოთა იათაშვილი; მთარგმნელები: დავით ჩიხლაძე და შოთა იათაშვილი), გონჩაროვიჩისა და ჰამიდ ჰერისჩის (თურქეთი — აზერბაიჯანი; მოდერატორი — ოქტაია ქაზუმოვი; მთარგმნელები: ოქტაია ქაზუმოვი და ანი კოპალიანი), ზაბინე შიფ-

ერის (გერმანია; მთარგმნელი და მოდერატორი: ნიკა ჯორჯანელი), იუჯინ ოსტაშევსკის (აშშ; მოდერატორი — პაატა შამუგია; მთარგმნელები: პაატა შამუგია და დალილა გოგია), არფი ვოსკანიანის (სომხეთი; მოდერატორი — ასია დარბინიანი; მთარგმნელები: დიანა ანფიმიადი და ასია დარბინიანი), პეტრ ჰრუშკასა და ნიკოლა მაძიროვის (ჩეხეთი — ჩრდილოეთ მაკედონია; მოდერატორი — ზაზა კოშკაძე; მთარგმნელები: მანანა მათიაშვილი, ზაზა კოშკაძე და პაატა შამუგია), ლევ რუბინშტეინის (რუსეთი; მოდერატორი და მთარგმნელი: შოთა იათაშვილი), ლინდა მარია ბაროსის (საფრანგეთი; მოდერატორი — მებო ნუცუბიძე; მთარგმნელი: ბაჩანა ჩაბრაძე) და იტალიელი პოეტების — როზარია ლო რუსოს, რიტა პაჩილიოს, ანიტა პისკაცის (მოდერატორი და მთარგმნელი — ნუნუ გელაძე) პოეზიის საღამოებს უმასპინძლა.

გამართა დისკუსია სხვადასხვა თემაზე. რა მოსდის ტექსტს თარგმანში — იმსჯელებს ზაბინე შიფერმა და რასელ გრაც-ფილდმა (მოდერატორი: დავით გაბუნია); „სჭირდება თუ არა პოეზიას დეკლამაცია“ — აზრი გამოთქვეს მაიკლ პალმერმა, იუჯინ ოსტაშევსკიმ, ვალჟინა მორტმა და დათო ბარბაქაძემ (მოდერატორი: პაატა შამუგია); „ტრანსნაციონალურობა, როგორც პოეზიის ახალი გამოწვევა“ — საინტერესო აღმოჩნდა მირიამ რეისის, ნიკოლა მაძიროვის, პეტრ ჰრუშკასა და გიორგი ლობჟანიძის მოსაზრებები (მოდერატორი: შოთა იათაშვილი).

მკითხველებისთვის საინტერესო აღმოჩნდა შეხვედრები ვასილ მახნოსთან, რომელმაც ისაუბრა უკრაინულ ლიტერატურაზე უკრაინასა და მის საზღვრების მიღმა და დრამატურგ დოროტა მასლოვსკასთან (პოლონეთი; მოდერატორი — დავით გაბუნია). ლინდა მარია ბაროსი ილიას უნივერსიტეტში ფრანგული ენისა და ლიტერატურის სტუდენტებს შეხვდა. მირიამ რეისსა და სოსო მეშველიანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესპანური ენისა და ლიტერატურის სტუდენტებმა უმასპინძლეს. მწერალთა სახლში გაიმართა მელანია მაცუკოს ნიგნის — „ვიტა“ — პრეზენტაცია („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), რომელსაც ავტორისავე შთაბეჭდილებები მოყვა (მოდერატორი და მთარგმნელი: ხათუნა ცხადაძე).

ფესტივალის ფარგლებშივე ჟურნალმა „ინდიგო“ საზოგადოებას შესთავაზა დიალოგი: ბევრი სიმართლის პერსპექტივა 2008 წლის აგვისტოს ომის ზეპირ ისტორიებში. რედაქტორებმა — ნინო ლომაძემ და თამარ ბაბუაძემ — მკითხველებს „ინდიგოს“ პროექტი 080808 მულტიმედია და ნიგნი — „ვაშლის ბაღები“ — წარუდგინეს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საიუბილეო ფესტივალის პირველი და ბოლო საღამო.

პოეზია, მუსიკა და ღვინო — ასე უწოდეს 17 მაისის ბოლო აკორდს, როცა ყველა სტუმრის მონაწილეობით გაიმართა პოეზიის საღამო: „ორი პოლუსი ერთ პოეტში.“ პოეზიას მუსიკა შეენაცვლა და პირველი სასიამოვნოდ დამღვლილი დღე მებო ნუცუბიძემ და ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა — „ოდაბადე“ — დაასრულეს.

21 მაისს კი თბილისის მეხუთე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი მსოფლიო ხმებს შეუერთდა და პატივი უოლტ უიტმენს მიაგო. მწერლის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე ამერიკელმა სტუმარმა მაიკლ პალმერმა ისაუბრა (მოდერატორი: თემურ კობახიძე), რასაც უიტმენის შემოქმედების მრავალხმიანობა მოყვა — ფესტივალის მონაწილეები საკუთარ ენაზე კითხულობდნენ სხვადასხვა დროს შესრულებულ თარგმანებს. უოლტ უიტმენი, რასაკვირველია, ქართულადაც გაუღერდა ლანა ლოლობერიძის, კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასა და შალვა ბაკურაძის წყალობით.

ემოციებით დახუნძლული ფესტივალი დასრულდა. ბევრმა ის ლიტერატურულ ზეიმად მონათლა. ახლახან ჩატარებულ თბილისის მეხუთე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე კი სოციალურ ქსელებში 15 ქვეყნიდან სტუმრად ჩამოსული 11 ქალი და მამაკაცი უკვე ბევრს წერს, წერს როგორც თავის მშობლიურ ენაზე, ისე — ინგლისურად და უკვე ფიქრობს, როგორ მოახერხოს, კვლავ ესტუმროს თბილისს, სადაც დაუღალავად ილაპარაკებს ყველასთვის გასაგებ ლიტერატურულ ენაზე.



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სახელი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004